



1896 ა ს ს ბ ი



ჟურნალის „ჯეჯილისა“

I ნატერა ლექსი—ოსიკოსი	3
II ჩენი კაკლის ხე მოთხრობა—ეკ. გაბაშვილისა	4
III სანდროს ბელადობა (ფრანგულიდან)—ან. თ—წ—ისა	8
IV ბავშვს ლექსი—ვაჟა-ფშაველასა	15
V ჰეპელას თავ-გადასაყალი (ფრანგულიდან)—კანოსი	17
VI შურთხი და ინდოური ლექსი—ზეზუასა	30
VII რატომ არის მალლა ცაში მუდამ სიცივე (რუბაკინიდან) —თ. შთაფრიშვილისა	33
VIII ჯემს გარფილდის ცხოვრება (გაგრძელები)—პატუასი	35
IX საკვირველებანი ბუნებისა—ვლ. ადნაშვილისა	48
X დევ-გმირი ხალხი ჯაეახეთში გაგონილი ზღაპარი—ილ. აღსაზიშვილისა	51
XI რქა-მოტეხილი ხარი (იგაეი)—აღ. მ—შვიდი	57
XI მეფე და მათხოვარი (ფრანგულიდან)—თ —	58
XIII მეცხვარე (ლევენდა)—ბ. ღოღობისა	59
XIV წერილმანი	61

ჟურნალი „ჯეჯილი“ 1896 წელს გამოვა ყოველ თვე, ე. ი. ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს — ექვსის მაგივრათ და ჟურნალი მხოლოდ ერთი მანეთით მეტი ეღირება. (თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მ.) რედაქციაში მუდმივი თანამშრომლობა იკისრეს: რაჟ. ჯაჯანაშვილმა, ალ. მირიანაშვილმა და ალ. გარსევანაშვილმა.



5-40



ს ე ჯ ი ლ ი

ს ა ყ მ ა წ ვ ი ლ ო ს ნ ა ხ ა ტ მ ე გ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

1325
3205

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, გაზდი ყანაო'...
ი. დ.

№ III

წ ა ლ ი ნ ა დ ი მ ა ზ ვ ი დ ა

ქართული ენციკლოპედია	№
საქართველოს ენციკლოპედია	№
საქართველოს ენციკლოპედია	№
საქართველოს ენციკლოპედია	№
საქართველოს ენციკლოპედია	№

9979

ტ უ ი ლ ი ს ი



საქართველოს
ხალხთა ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 6-го Марта 1896 года.

ნ ა ტ ვ რ ა



კ, ნეტავა ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარაო!
გამაფრინა, ერთ წუთაში
მთები გადამატარაო!

* *

მოენახვდი კუკურ ვარდსა
იქ, სად წყალი ანკარაო
ჩამორბის, და მის ზვირთებში
კრთის ლაყვარდ ცის კამარაო.

* *

ვარდის ყნოსვით დავთვრებოდი,
წყალი გამაგრილებდაო,
მონადირეც ვარდის ეშხით
ტყვიას ამაცილებდაო!

* *

ეკ! ნეტავი ჩიტი ვიყო,
ჩიტუნია პატარაო!
გამაფრინა, ერთ წუთაში
მთები გადამატარაო!!!

ჩვენი კაკლის ხე.



რა არი იგი სინათლე
 რასაცა ახლავს ბნელია!
 წუსთველი.

ვენი ვენახის თავში უშველებელი კაკალი სდგას, მის განიერ ტოტებს უჭირავს თითქმის ვენახის მეოთხედი, რომელიც მუდამ ჟამს მოკლე, მწვანე ხავერდის მაგვარი ბალახით არის მოფენილი; ხან-და-ხან როცა მორწყვის ჯერი შეხვდება ჩვენ მებაღეს, ლამაზი, ანკარა რუც ჩამოუბრძის ამ ჩვენ საყვარელ ზაფხულში განცხრომილ ალაგს. და მართლაც ძრიელ გვიყვარდა ეს მშვენიერი, ახოვანი, მეფუხრათ მდიდრად შემოსილი, ნოყიერის ნაყოფით შესხმული და განუწყვეტლივ ნიაქარის მამცემი ზაფხულის პაპანაქებაში, მშვენიერი მცენარე. დიახ, ძრიელ, ძრიელ გვიყვარდა ყველას ეს ჩვენი დიდი კაკლის ხე!

მის ძირში მუდამ ხალიჩა-ფარდაგი იყო გაშლილი, ზედ მუთაქები ეყარა და ჩემი უმცროსი და-ძმანი ყირამალას გადადიოდნენ, იქვე დედა ჩემი ხელსაქმეს აკეთებდა და თან თვალ-ყურს ადევნებდა პატარეებს, რომ კისერი არ მოეტეხნათ, მოახლოვებით ჩემი უფროსი და წიგნსა კითხულობდა, მე განუყრელათ ეჩორკნიდი და ვაწყობდი პატარა ბორბალს რუზედ ასატრიალებლად და თუ ავატრიალებდი ჩემს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა.

მაგრამ ასე წყნარად და განცხრომით ვისხედით კაკლის ქვეშ მხოლოდ მარცხობის თვის ნახვერამდე, მანამ კაკალს ჯერ გული არა ჰქონდა და მას შემდეგ კი, როცა კაკალს გული „დაუპურდებოდა“ მშვიდობით მოსვენებაე! განმართებოდა ერთი ალიაქოთი და კოლოკების სროლა კაკლის დასაყრევივებლად. დიდი და პატარა ყველა ვარჯიშობდა რომ თავის საყვარელ კაკლისთვის თავში კოლოკინი ეთხლიშნა. ჩამოდიოდა მშვენიერა ფოთოლი, ემტერებოდა

ძვირფასი ტოტები ჩვენ საყვარელ კაკლს, მაგრამ ამას ვილაყუდებოდა და ყურს, ჩვენ მხოლოდ რძით საესე, გემრიელი კაკლის გულს და გვიწიდავდა და ვინ ვის მიასწრებდა, ვინ მეტს დააყრევინებდა კაკლს გამარჯვებული ის იყო. კვირა უქმით მამაც მოგვეშველებოდა ხოლმე ჩენი საყვარლის გაცარცვაში: გვიბერტყდა, გვიკუჭავდა.

— ხელები დაგიშავებდათ, დაგისკდებათ ნაჭის სიმწარით, გვიყვიროდა დედა, მაგრამ ვინ დასდევდა ხელებს!

— ტანისამოსი ლაქით აგვესებათ, წენგას რაღა ამოიყვანს! თქვე წყეულებო, თქვენა! — გამოგვეკადებოდა ჩენი გაღა, მაგრამ რას დაგვიჭერდა, ეშმაკებივით დაეტრიალებდით მწვანეხედ დაყრილ კაკლს და თან ჰირს ვიტენდით გემრიელის ნიგვზით.

მხოლოდ სალამოობით მოაკრიალებდნენ ფოთლებით მოდებულ კაკლის ძირს, გამართავენდნენ მის ქვეშ სტოლს, დასდამდნენ ზედ სამოვარს და ჩვენც დავშოშმინდებოდით. სამოვარი დიდათ გვიყვარდა, შემოუსხდებოდით გარს და შევექცევოდით ჩაის, გარშემო სრული სიჩუმე იყო, მხოლოდ კაკლის ფოთლების ნელი შრიალი ბანს აძლევდა სამოვრის შიშინს, ხან-და-ხან პატარა რუც ჩაერეოდა ხოლმე ამ კონცერტში და ჩვენ დაღალულნი, გაყუჩებულნი ვისმენდით და ვისმენდით ამ ტკბილ ნანას და ბევრჯელ ჩაგვეძინებოდა ხოლმე კიდევ პატარებს.

მაგრამ ჩენი კაკალი მე მომატებულად მაშინ მომწონდა, მაშინ შევექცეოდი გაკვირვებით, როდესაც დიდი ქარა ჰქროდა, როდესაც ქარიშხალი აბორკებდა, აშფოთებდა, აბრძოლებდა ამ უიმისოთ წყნარს რე ამაყს ხეების მეფეს. იმისი მძლავრი ტოტები ქარისაგან ზღვის ტალღებისაგან მოქანავე ხომალდს ემგზავსებოდნენ, მასავით გადადიოდ-გადმოდიოდნენ, შუოდნენ, ხმაურობდნენ, ერთმანეთს ეხლებოდნენ, ებრძოდნენ რე იმტერეოდნენ. მე იმ დროს წახვეული თბილად რაშიმე, ამოვეკროდი მის მძლავრ, განიერ ფესოს და ვისმენდა დაუსრულებლივ ამ შფოთვისაგან გამონმობილ ანგებს.

ღიახ ჩენი კაკალი მე ძრიელ მიყვარდა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ სრულიად შემიცვალა აზრი და გრძობა ჩვენ კაკალზედ. რასაკვირველია, იმას არ მოჰკლებია თავისი ჩვეულებრივი მიმზიდველობა, ისევ უწინდელებრივ დიდი და მშვენიერია, ისევ მეფურად, ამაყად არის გაჭიმული და ახოვანის ტოტებით და ხშირის ფო-



თელით იკაებებს ზაფხულში მზის მწვევ სხივებს და ტკბილად დასვენდებიან დიღებს და ულუკალუკებს თავის ქვეშ გაშლილ ჩვენ ხანობასს. მაგრამ მაინც მე აღარ მიყვარს, ისე აღარ ვენდობი, ისეთ მეგობრობას აღარ უწევ.

როცა იმის ქვეშ მომჩქეფარე პატარა რუს პირას ვზივარ, ბორბლის კეთების მაგივრათ ვივანებ იმ საშინელ შემთხვევას, რომელიც ამ ჩამდენივე წლის წინად მოხდა ჩვენ „საყვარლის“ ბერტყეაზე და შიში მიძერის გულში, უნდობლობა მებადება იმისადმი, იმისი სიწრფელე აღარ მჯერა!

საწყალი ვანო ვერხვიშვილი! რა ბიჭი იყო, რა მალხაზი, რა სიცოცხლით და სიმამაცით სავსე და დღეს კი ამის მოწყალებით დამახინჯებული და გასულელებულია! ვანოს დანახვავედ ცრემლები მომდის თვალში და ჩვენი კაკალი კი მეზაზღება, კაცი-ჭამია მგონია.

ენკენისთვის ნახევარი იყო, დედამ ბავშვები სავანგებოდ წამოგვიყვანა ქალაქიდან კაკლის ბერტყეაზე დაესწარიითო. მოღრუბლული, ნისლიანი დღე იყო, სიო არ იძროდა, მზე ათასში ერთხელ გამოიჭყიტებოდა ხოლმე ღრუბლებიდან. ჩვენ კაკლის ქვეშ შევიკრიბნეთ და მჯუსენრად ველოდებოდით ბერტყევას. აი ვანოც მოვიდა. მოკლე ახალუხი ეცვა, ვანიერი შარვალი შავ პაიჭებში ჰქონდა ჩაკეცილი, თავზედ წითელი ხელსახოცი გადაეკრა, ხელში უშველებელი კაკლის საბერტყე ხალა ეჭირა და თავის მამაცურა, მოღიპარი შეხედულობით, ყვარჯნით ხელში მშენიერ სურათს წარმოადგენდა.

— შვილო ვანო, ფთხილად იყავ, თუ ღმერთი გწამს, ფეხი არ წაგისხლტეს და ცოდვა არ დაგეიტრიალო! ალერსით უთხრა დედა ჩემმა და თან ცას შეხედა, ჰაერი ხომ არ იცვლებოა.

— ნუ გეშინიან, ქალბატონო! პირველად ხომ არ ავდივარ ხეზე, ამ ერთ კვირეში ავერ ოცი ძირი დამიბერტყია. ისეთ ისეთი ტომრები გავტენე ჩემი მეოთხედით, *) რომ თითოს თითო თუმნად არ მიეცემ; ამ სიტყვებთან ვანომ ხალა კაკალს მიაყუდა, ფეხშიშველა ფეხებიდან მტვერი მოიწმინდა, პირჯვარი გადაიწერა და მაიმუნივით მარჯვედ აცოცდა ხეზედ.

*) კაკლის მებერტყავს მეოთხედ კაკალს აქლუკენ გასამტყელოში.



ჯერ ქვემოთა ტოტებზედ გავიდა ზე მძლავრად დაუშინა გრძელი ხალა წინათვე ჩვენგან ნახევარზედ დაბერტყილ ტოტებს, ხეზედ გავიდა ზე ერთი საათის შემდეგ უზარ მახარ ხეს წვეროკინაზედ მოექცა. ჩვენ გაქანებული ვკრეფუადით დაკროლილ კაკლებს, ერთ-მანეთს ვაწყდებოდით, ვეცემოდით და გულიანად ვხარხარებდით, ამასობაში ვერცკი შევნიშნეთ, რომ ცოტაოდნათ წამოჟინჟლა, ზედ პატარა ნიაფიც დაიძრა. დედა ჩემი საშინლად აღეღედა და ეხვეწებოდა ვანოს ჩამოსვლას, რადგან დასველებული შტოები საშიში იყო მბერტყაფისთვის და ქარიც თან-და-თან ძრეილდებოდა.

— ჩამო, შვილო, ჩამო! მე შენი ყურება აღარ შემიძლიან, შიშით გული მიწუხდება... დანარჩენი კვლავ დაიბერტყოს, არ წახდება!

— ერთი ორი ხელის მოქნევა დამჭირდება და კიდევ გავათავებ, მხიარულად ჩამოიძახა ვანომ და ხალის ქნევას მოუხშირა, კაკალმა უფრო ბლომად იწყო დენა და ჩვენ უფრო მოუმატეთ ჭყვივით და წაკერა-წაჭანას; გარშემო ჩვენი ხმაურობით ყურთა სმენა აღარ იყო. უცებ გაისმა საშინელი ხმა: „ვაიმე დედავ“! და ეს ვაიმე დედავ ისეთი საზარელი და გულის საკლავი გოდება იყო, რომ თავისდღეში აღარ გაშორდება ჩემ ყურებს! ერთ წამზედ მამაკედინავი მღუმარება ჩამოვარდა და თვალის დახამხამებამდე ჩვენ წინ, დედამიწაზედ მალლიდან ჩამოვარდნილი ვანო გაინართხა.

ქ. განაშვილისა.



სანდროს ბელოდობა.



ასეველი ჩვენი მურობა! სანდრო, რატომ არ გინდა რომ წამოიყვანო ის თან? ბებია დაგიძაღლებს მაგანაც რომ ჩვენსავით მიულოცოს სახელ-წოდების დღე, სომ იცი რომ იმასაც უყვარს ჩვენი მურობა! ასე ეუბნებოდა პატარა თელიკო თავის ძმას.

— როგორ არა, ვიცი! უპასუხა სიცილით სანდრომ, მხოლოდ მაშინ უყვარს, როდესაც მშრალი და სუფთაა. მაგრამ გაწუწული ძაღლი, ვეფლავფერს გააფუჭებს და არავისთვის სასიამოვნო არ არი. დეე, ეგდოს მურობა თავის კუნჭულში.

თელიკომ ამოიოხრა და თქვა:

— საბრალო მურობა! იმისი რა ბრალია რომ ფეს-შიშველს დადის, მერე რა ნაირათ უყვარს თოვლში კოტ-რიბლი! სანდრო, შენი ჭირიმე, თან წავეყვანოთ. არაფერს გავაფუჭებინებ, თავისთვის ერთ კუთხეში მოიკუნტება.

— სომ იცი კარგათ რომ ერთ ადგილას არ მოინ-ვენებს, აქეთ-იქით იტრიალებს და ვეფლას თავს მოაბეს-რებს. არ მინდა იმის გულისთვის ვინმე შევაწუსო.

თელიკოს ცრემლები მოადგა თვალებზე.

— სედავო, თურმე ეველას თავს აბეზრებს ჩემი კან-
 უფრელი, ერთგული მეგობარი, რომელიც მე მართლმად, სანდროს ბელადობა
 მეთამაშება, როდესაც სძირბათ სანდრო გარბის თავის ამ-
 სანაკებთან. განა შესაძლოა, რომ მურიამ თავი ვისმეს
 მოაბეზროს? მერე ამან, რომელიც თითქმის უფროსს მმო-
 ბას მიწევს, ეოველ დღე სასწავლებლიდან მაცილებს, რომ
 არ შემეძინდეს ბინდისას ტყეში გამოვლის დროს. განა
 ვინმე იტყვის ჩემ საუვარელ მურიამზე, რომ შემაწუსარია!
 სანდრომ იცის, რომ მურიას ის ძალიან უუვარს. საწვა-
 ლი ძაღლი, ეოველთვის ჩვენი ერთგული და მოსიყვარუ-
 ლეა. უფროსები ეოველთვის უმაღურები არიან!

თელიკომ ერთი კიდევ სცადა გამოსარჩლებოდა:

— ღმერთმანი, მივალოთ თუ არა, ისე გავაშრობ რომ
 არაფერს გავაფუჭებინებ ბებიას სახლში. იქიდან დაბრუ-
 ნების დროს, კიდევ შეუძლია გვიშველოს აღმართზე ცი-
 ვის ტარება!

— მერე ვის? მე უნდა მიშველოს! შეჭვივრო სიბრა-
 ზით გაწითლებულმა სანდრომ—საჭირო არ არი ეისიმე
 შველა, მე თითონაც კარგა ვატარებ ცივას, თუნდ ორი
 შენოდენა ვინმეც იჯდეს ზედ.

სანდრომ ეს სიტყვები ისე მედიდურათ და კვეხნით
 წამოიძახა, თითქო დიდი ძალის ჰატრონი ეოფილიყო.

თელიკომ თავი ჩაღუნა, აღარას ამბობდა. ცივა სან-
 დროსი იყო, ჰირველათ იმან მოიკონა თავისი უნცროსი
 დით ბებიასთან წასვლა. წინა-ღამეს დიდი თსოვნის და
 ფიცის შემდეგ, რომ ჰატარა დაუას კარგა ეურს უკლებს,
 სანდრომ გამოიტანა დედისაკან ნება-რთვა: უნდა და-ძმა



წასულიყვენ ბებიასთან სახელ-წოდების დღის მისწავლა-
ცათ და ისევე თვალ-ნათლიყ დაბრუნებულიყვენ რომ ლა-
მეს ტყეში არ მოესწრო. მხოლოთ ამ ზორობით გაუშვა
დედამ ემაწვილები დიდ თოვლში.

სანდრო, როგორც უფროსი, ჰასუსის გამცემი და კისის
მხვეწებელი იყო და თავი მოჰქონდა ამითი. მურია იმი-
ტომ არ მიჰყავდა, რომ არ ესაჭიროვებოდა მისი შველა,
ეგონა, რომ თითონაც ეველაფერს გაუძღვებოდა.

სამსარეულოში ჩაკეტილი მურია მისჩერებოდა სარკ-
მელს და თან-და-თან შოფოთავდა, ამას რას ხედავს!

ციგა გამოიტანეს ეზოში, განსწორეს, განსუფთავეს,
ეტყობოდა რომ ემაწვილები სადღაც ემკზავრებოდენ, აი,
დედამაც გადაკოცნა ემაწვილები.

„მე!?... განა ჩემმა ჰატარა მეგობრებმა დამივიწყეს
რომ აქ დაკეტილში ვარ!..“

ეურბდლების მისაქცევათ დაიწყო ეეფა, მაგრამ სულ
ამაო იყო, ეურს არავინ ათხოვებდა, არც კა იცქირებო-
დენ აქეთ მხარეს.

„რა ამბავია! მიდიან კიდევ? მერე უჩემოთ!“

მურია აწვებოდა კარს, ფსაჭნიდა, ჰეუფდა... იმედი
აღარაფრისა ჰქონდა. ამის საეუვარელი ბავშები ემკზავრე-
ბოდენ; უამისოთ, იქნება რა განსაცდელში ჩავარდენ.

ამ ფიქრებმა სულ გადარია მურია... აღარას დასდია,
ოლონდ თავი გაეთავისუფლებია... ისეუჭა და შურდული-
ვით გადმოვარდა სარკმლიდან.



ჯერ ცივა შესახვევში არც კი მისულიყო, რომ მუ-
რია ქაქანით, ენა გადმოგდებოდა, მაგრამ ამაყი და ბედ-
ნიერი შესედულებით მიეწია და გვერდით აედევნა, რო-
გორც ჩვეულებრივ იცოდა. თელიკოს სინარულს სასლვა-
რი არა ჰქონდა.



— ეს მურია სწორეთ მოსახერხებელია, თქვა გაჯავრებით სანდრომ, მაგრამ რას გააწეობდა, უკან ვერაგვით ვერ დაბრუნებდა რა არ უნდოდა თავის შე-
რცხვენა.

ბებიაში, მართალია, დიდი სინაზული არ გამოიჩინა მურიას მისვლაზე, მაგრამ მაინც კარგა მიიღო. იმასაც ერგო თავის წილათ ქაღები.

ასე, ამ გვარათ, ვეულისათვის სადღესასწაულო დღე იყო. სანდრო ცოტა არ იყოს უწერებოდა მურიას, მაგრამ ძალი არც კი იმჩნევდა. ძალით თუ ნებით ეს მაინც ამითან იყო, თითქო ემაწვილები ეურის საგდებლათ დაენიშნათ.

ამ ლხინსაც ბოლო მოეღო, უნდა შინ დაბრუნებულ იყვენ. ჯერ საქმე კარგათ მიდიოდა, ისე რომ სანდროს ეცინებოდა კიდევ, რომ მურია რაშიმე გამოხდგომოდა. დარბი ისეთი შეენიერი იყო, რომ ემაწვილები არა ჩქარობდენ შინ დაბრუნებას და სოკჯერ რაშიდენ ჯერმე ადი-
ოდენ აღმართზე, ოღონდ ჩამოქანებულიყვენ იქიდან.

გაცხარებულ დროს გატარებაში სანდროს სულ და-
ავიწულა დედას რომ ზირობა მისცა. ვერ ამჩნევდა, რომ თან-და-თან ბნელდებოდა, ღამდებოდა. არც თელიკო იწუ-
ხებდა თავს, ძალს სომ რა მოეთსოვებოდა. მურია წა-
ქეხებული ემაწვილების სიცილ-კიჟანით დაბობდა და და-
სტოდა თოვლზე ორივე ემაწვილებზე უფრო მეტათ.

ამ ცელქებმა ერთბაშათ შეამჩნიეს, რომ დაღამებულიყო. თელიკოს ისე შეეშინდა სიბნელისა, რომ მიეკრა მას და შეკლას თსოვდა. გულად სანდროსაც თავ-სარბი

დაეცა, ეკონა ეს-ეს არი ღამე კარგა კასულაო. დასწვით
 ესეც დაიფანტა და იმის მაგიერ, რომ საქმეს უშველოს,
 ამანაც დაიწყო ტირილი და დედის მასილი.

ამ ღმბავმა მურიან დააფიქრა, მან დაუწყო თავის მე-
 გობრებს ხელების და ჰირისახის ლოკვა და თითქო
 ეუბნებოდა:

— მე სომ აქა ვარ, რისა გეშინიათო!

წამოვიდა დიდი თოვლი, შედ დაერთო ქარ-ბუქი,
 ემაწვილებს შიკ ჰირისახეში აურიდა თოვლს, მურიან ელა-
 ქუსებოდა სანდროს, ემაწვილი არ უჯავრდებოდა იმას,
 რადგან თოვლისაგან ვერას ხედავდა, მალს კი ეკონა
 შეშირიგდაო.

ემაწვილები შეჩერდნენ ერთ ადგილას,

— უნდა როგორმე გზა გავიგნოთ, თქვა სანდრომ
 მიკნავებული ხმით.

გაუდგენ ხელ-ახლა გზას. რამდენჯერმე ავიდნენ ად-
 მართსე. ჩამოვიდნენ პირს და უცბათ გაჩნდნენ ტუის ნაპი-
 რას, სადაც გაივლიდა ხოლმე თელიკო, სკოლიდან დაბ-
 რუნების დროს, მაგრამ ტუის რომელ მხარეს იყვენ
 ახლა, ის კი არ იცოდნენ. ტყე საშინლათ ჩაბნელებული
 იყო.

— თელიკო, აღარ ვიცი სადა ვართ, თქვა ბელად-
 მა — სანდრომ.

ამას კბილი-კბილსე აცემინებდა, გადახედა დას. თე-
 ლიკო კი უნუგებოთ მალს უეურებდა.

მურიანს სულაც არაფრისა არ ეშინოდა. კუდს ისე



აწხენათ იქნედა, რომ თელიკო დაშვიდდა, გუგუნი-მოსმისა
 იბრუნა, ახლა აღარც ამას ეძინოდა და თქვა:


— დეე, მურიამ წაგვიყვანოს.

სანდრომ თავი ჩაღუნა.

მურია ბძანებას ელოდა, გაუძღვა ამათ წინ ეურებ-
 აცქვეტილი. სანდრო კი შერცხვენილი ეურებ ჩამოერილი
 მისდევდა, სადღა იყო იმის ამაუობა. იმას მსოლოთ უსა-
 როდა რომ იშოვა მშველელი, ვსის მახვენებელი.

მურიამ მშვიდობიანათ მიიუვანა ემაწვილები ჰირ-და-ჰირ
 სასლში, უამისოთ იქნება შინ არც კი დაბრუნებულიყვენ,
 რადგან მთელი ღამე თოვდა და ქარ-ბუქი არ დამდ-
 გარა.

ან. წ.



ბ ა ვ შ ს



ავში ხარ, „ალუს“ იძახი,
 ვერ დასვალ, ვერ დგამ თეხასა;
 დაკვაჟაკადები, პატარავ, ა
 იწყებ თლვაშის გრეხასა;
 წელზე შეიბამ გორდასა,
 ეტრფობი აბჯრის უღერასა,
 თავსა შეაკლავ თუ ვინმე
 ავათ გიხსენებს დედასა.
 მშობელი მიწის დარაჯსა
 გნახავ მტრისაკენ მზერაღსა.
 რაკი სცნობს შენსა სიმტკიცეს.
 მტერიც დაგაკლებს ვერასა.
 გამარჯვებისა ამბავსა



ქართულათ იწყებ წერასა,
 მაშვრალი, ბრძოლით მოსული
 ჩამოუჯდები კერასა:

გვერდს გისხდებიან სწორები,
 ვისმენ თქვენს სუფრულ მღერასა;
 იძახებთ „კარუნანოსა“,
 ზედ დართულს „დელი-დელასა“
 რა რძე მოხუცის ვაზისა
 შუბლს შევიხურებთ ყველასა,
 კხარობდი, ხარო-ირემო,
 თვალი დაუდგეს მელასა!

ვაჟა-ფშაველა.





პეპელას თაგვადსავალი

(ფრანგულიდან).

I


ჩემო ძვირფასო მეგობრებო! თქვენც ჩემსავით ჭაერით სულდგმულობთ და ვუაფილები გიუფართ. მე იმიტომ კი არა ვწერ ამ ამბავს, რომ ჩემი თაგვადსავალის წაკითხვით შეგიყოლიოთ, არა, იმიტომ, რომ ჩემი შეცდომით თქვენ გაგაფრთხილოთ, და არ ჩავარდეთ იმ დღეში, რა დღეშიაც ჩემმა მსუნაცობამ, თაგმთაგვარეობამ და მეტინრობამ კინაღამ ჩამგდო. თითქმის დავუბერდი, (რამოდენიმე კვირისა კიდევაც მოვიუარე)



და სიკვდილის წინათ მინდა ჩემი ცხოვრება გადასწავლი ჩემ მომავალ თაობას ვუამბო.

იმას არ მოგიუვებით, როგორ მოვემწევი ჩემს სადაფს, სადაც ოვითონ მოვამსადე ქსელი; ეს თქვენთვის საურადადღებო არ იქნება... ერთ შვენეირ დღეს ჩემს ჰატარს სენაკში ვიგრძენი, რომ ფრთები შექიფრთხილდა; ჰატარს ხანს შემდეგ ცოტათი თავი მივარტევი ჰარკს, რომელშიაც ტუსაღსავით გამომწევიდგული ვიყავი, და კათავისუფლებული შიგ შუაგულ ბაღში გაგზნდი. მსურვალე მხის სხივებზე ეოველისფერი ბრწეინავდა. რა შვენეირება რამ არის მზე! მისი სითბო გვერდებში გამიჯდა და მეც ვსამოვნებდი, ვხარობდი და ვტკებობდი იმ შვენეირ სანახაობით, რომელნიც ჩემ გარშემო გადაფენილიყო. დავფრინავდი ევაველებზე, ვწუწნიდი მათ წვენს და ჩემი ახალი ბინის ეოველ კუთხეს გარშემო დავტრიალებდი. ტეისაკენ ჰატარს გუბე იყო; იქ დუმიფარს ჰევაოდა; გავექანე იქითკენ, ჰატარს ხანს კრთი ევაველის გვირგვინზე შეგჩერდი და იქვე გუბეში ჩემი სასე დავცინახე. ჩემი ჰაწაწკინა სასის დანახვამ საშინლათ გამაოცა; ნამეტნავათ ორ ღამას ფრთას აღტაცებაში მოვეავდი; ეს ჭრელი ფრთები ევითლათ, ლურჯათ, თეთრათ და ჰარდის ფრათ დაწინწკლულ ხავერდს წაგავდა; სწორეთ შვენეირი სანახავი იყო. მეტის მეტმა თავმომწონეობამ გამიტაცა; გავიბერე,

გავდიდგულდი: ჩემი თავი ეოველ სულიერზე უკეთესი მკ-
 გონა. ჩემი ძმა-ჰეჰელასის რჩევა-დარჩევა დაზვივიწვე; ჩე-
 მი თავი ახლა მთელი ქვეყნის ჰატრონი მეგონა. აღარა-
 ფრის შიში აღარა მქონდა. ამასობაში კიდევ დაღამდა;
 ახლა კი ჩავარდი საგონებელში, შამშა ამიტანა. სად წა-
 ვიდბ ეს ნათელი და ბრწეინვალე დღე, რისთვის არის
 ეს სიბნელე-მეთქი? ვფიქრობდი ჩემს გუნებაში. ერთი ალა-
 კიდან მეორეზე ნაღვლიანათ გადავდიოდი და დასამინე-
 ბელ ბინას ვეძებდი. ამ დროს გაღებულ სარკმელში ერთ-
 ბაშათ სანთლის შუქი გამოჩნდა. არიქა, ვთქვი ჩემს გუ-
 ნებაში, აი ახლა კი მეშველა! იქ, შიგნით სინათლევ; აბა
 ერთი ჩქარა გავწიო. მაგრამ გავუდექი თუ არა გზას მეო-
 რე ჰეჰელას მოძეწია; ის ჩემ შეკავებას ცდილობდა და
 ეურში ჩამომბსუოდა:



- გაფრთხილდი, გაფრთხილდი!
- ერთი ეს მაკლდა, რომ ამდევნებია! ვფიქრობდი;



ვინ არის ეს საძაგელი, რომ ჩემი სელოს შესაძლებლობა მოდის? რატომ არ დამსხნება; ჩემი თავის ბატონი მე ვარ!

თავი რომ აღარ დამანება, საძაგელს, ვეჯახე ფრთაში და არა მკითხე მეგობარი განზე კავახუშურე. ახა დმერთო! ის მანც თავისას არ იშლიდა, თავს დამტრიალებდა და ცდილობდა ჩემი ახირებული განზრახვა როგორმე ჩაეძალა.

— ტუილათ ირჯები, ჩემო ძამია! ვამბობდი მე ჩემს გულში და სანთლის შუქისკენ მივისწრაფოდი. საშინლათ მეჩქარებოდა; აი კიდევ მივედი, როგორც იქნა, შევარდი ოთასში, გაუქროლე სანთელს და ცალი ფრთა კი აღმა შემიტრუსა, ტკივილმა ჩემი სისულელე მაგრძნობინა; ჩემს ვარძემო შეშინებულის სმით ვვირილი მორთეს:

— უჰ, საწეალი, რა შეენიერი ზეჯელაა, აკი დაიწვაო.

გამოიშვირეს სელები ჩემ დასაჭერთ; მე შერცხვენილი გამოფორინდი, გულში ვფიქრობდი, რომ ჩემი ამხანაგი, რომელსაც მე ასე თავსედათ მოვექეცი, ჭკვიანი უნდა ეოფილიყო. საღამო ვაი-ვაგლახით გავატარე; მეორე დღეს გათენებისას, ჩემი სხეულის დათვალეირება მოვინდომე და მივაშურე ევავილში ჩამდგარ წეალს. რა დავი-

ნახე? ერთი ჩემი ფრთა, რომლითაც მე ასე მომქონდათ თავი, სრულიათ ატრუსულიყო.

— ვაი, შენ ჩემო თავო! ვთქვი ჩემს გულში დაღონებულმა: სომ ადვილათ შეიძლებოდა სულაც დავლუნჯო ვიყავი! ახლა ამისთანა საოცნებო და სულელურ სურვილს არასოდეს აღარ ავუყვები! რამდენიმე დღეს მართლაც ჭკუიანათ ვიყავი, კვამყოფილდებოდი და ვსარობდი, ვერთობდი თავს. დამწვარი ალაგი თანდათან მიჩნებოდა, ისევე ისე ძველებურათ ვლამხდებოდი. კვამყოფილი და სულელური თავმოძრონეობით წამდაუწუმ ვიცქირებოდი ჰატარს გუბეში და ჩემ თავს ვსინჯავდი. ერთ საღამოს, როცა ამ სასაცილო კოპწიობაში ვიყავი გართული, ვერც კი დავინახე გუბის ქვემოთ გაბმული მახე და, როცა განავარდობა და ევავილიდან ევავილზე გადაფრენა მოვიხილეთ, ვიგრძენი, რომ ბადის ნახლართებში ვავები.

დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი; მოვიკუნტე ბადეში და მწუსარე ფიქრებს მივეცი თავი; გადარჩენის იმედი აღარ მქონდა... დაღამდა კიდევ; ჰატარს ემაწვილსაც, რომელმაც თავისუფლება წამართვა, დაეძინა. მე კი ჩემ სატანჯავ ცისეში ვიყავი დამწუკლეული; ჩემი საწერობილე კუთხეში ეგდო უეურადღებოთ, მეც შიგ ვიჯექი და ჩემს უბედურებას ვტიროდი.

ერთბაშათ საოცარი ხმა შემომესმა...



— ნეტა რა აძბავი უნდა იყოს? — ჯერ ვერ მივხვდები, ბოლოს ჩემს გვერდით რაღაცა ცხოველი დავინახე.

— ვაიმე, გავიფიქრე: ეჭვი არ არის, ეს, რაღაც ცხოველია, კაი დღეს არ დამაეწიებს; უთუოთ შემჭამს; მაგრამ მოთმინება უნდა ვიქონიო და გული გავიმაცრო. იმდენს ვეცდები, რომ ვერ მომწვდეს; თუ ბაღე გამოღრღნა, მაშინ კი მე ვიცი, როგორც გაუფიქრებელი და ჰირში ჩაღას გამოვაულებ.

შიშით მთლათ ვცახცახებდი და მარჯვე დროს ველოდი. სმაურობა შესწუდა; ჩემი საქმე კარგათ მიდიოდა, მაშინვე უკანიდან მივუწარე ჩემს მტერს და დავინახე, რომ მას ერთ ალბასს ბაღე გამოეკლიჯა: უცებ გაფხარდი; საშინელ ბაღესაც და იმ ძსეცსაც გადაურჩი.

რა თქმა უნდა, ჩემო მეგობრებო, დამე ძალიან გრძობათ. მეჩვენა, რადგანაც ვწუსდი და მეშინოდა, რომ სანამ კარეთ გაფრენას მოვასწრებდი, ჩემი გაპარვა არ გაეგოთ, ცაზე უკანასკნელმა ვარსკვლავებმა ერთი კიდევ გამოანათეს, შემდეგ თანდათან ჩაქქრენ, ვგრძნობდი იმ წუთის მოახლოვებას, როცა ჩემი თავის გადასარჩენათ მთელი ჩემი ეშმაკობა, მოხერხება და თანაც გაბედულება დამჭირდებოდა.

ჩემდა საბედნიეროთ ჩემ ჰატარს მწვალებელს ჯერ ისევ ეძინა. ერთი თვალი გადავახლე კიდევ ბაღეს, რო-



მელიც კინადამ სძარეთ გადაქცა და რა დანებისკენ
ერთი ჰატარა თეთრი თაგვი, მოგვლავენილიყო შიკ
და ჩემს ბინაზე უდარდელათ განისვენებდა.

გულში ვლოცავდი ამ ჰირუტევს: იმის ჰატარა მჭრელ-
მა და ბასრმა კბილებმა საფრთხეს გადაძარჩინა.

სანამ ტალანში გაფრენას მოვასწერებდი, ფანჯრის
ფარდებთან მივიძაღე. ჰატარა ხანს უკან მასლობელ
ოთახში ფეხას სმა მომესმა; ძაღუ კარი გაიღო და ცის-
ფერ კაბინი ქალი შემოვიდა.

— ღმერთო ძლიერო, ნეტავი რისთვის მოვიდა! სუნ-
თქვა შეკწევიტე.

— გიგა, გიგა! დაიძახა მან: ძაღიან მოიხარმაცე ამ
დილას თავი!

ამ სიტყვების შემდეგ ის მოუხლოვდა ფანჯარას, გა-
აღო და კიდევ მეშველა! ამას შემდეგ დედა გაბრუნდა ჰა-
ტარა მძინარას ღოგინისაკენ.

— აბა, ჰეპელა, ახლა კი შენ იცი!.. თვალის დახამ-
სამებანზე ჩემი საჭერობილე დავტოვე. ბაღში უვაგილები-
საკენ გავფრინდი და გრილი ჰბერით სიამოვნებით სუნთქვა
დავიწეე. ამას შემდეგ ჰირობა დაუდგე, ჩემი სულელური
ხასიათი გამოქცავდა და არბოღეს მეტირობა და ყოყო-
ჩობა აღარ დამეწეო; მაგრამ მეორე ალბას ბედი თურ-
მე უარეს სიფათს მიმსადებდა. შემოვირბინე თუ არა

ჩემი ჰირველი სახლის ეველა კუთხეები, გულში მადლი ერთი, რაც გასდეს, შორს გაფრინდები სხვა ახალ რამეებს ვნახუ-მეთქი. — აი თუნდა ბაღში, რომლის მაღალ ხეებს უკვე ვსვდავ! ასე ვიფიქრე და ავასრულე კიდეც: მაშინვე ბაღისაკენ გავექანე. სიამოვნებით გავბრუვდი, იმდენი კარგი რამ ვნახე. აქ იომა მრავალი შვენური სუნელიანნი და ათასი ფერის ევაულები; მინდოდა ეველა სათითაოთ გამეინჯა და თითოეულის წვენი შეგემა. დავიწეე ირგულივ ფრენა და ტრიალ-ბსრიალი; საშინლათ მოვიქნაცე, ამასობაში კიდეც დაღამდა; ჩემი გუშინდელი ბაღე გამახსენდა და გვერდებში შიშის ქარი გამიღვა; ძაღვ ამოვირჩიე. საიმედო ალაგი, რომ ღამე შეუძფოთებლათ გამეტარებია..

მთელ ერთ კვირას ამგვარს განცხრომაში და ნეტარებაში ვიყავი. შემდეგ მეორე ალაგი მოუნახე, მაგრამ არ მომეწონა: იქ წვანილი ბევრი იზრდებოდა, მაგრამ სხვა კარგი და სასიამოვნო მცენარე ნაკლებათ იყო..

ღამდებოდა კიდეც და მეკი ჩემი წუურვილი ვერაფრით დამეკმაყოფილებია; ამ დროს ერთ ალაგას რაღაც ბრჭყვიალა საგანი დავინახე და მაშინათვე მომეჩვენა, ვითომ იმაში შვენური ტკბილი სასმელი იყო.

— ბიჭოს! აი თურმე რითი სასრდოვობს ამოდენა ზეჰელების გუნდი! ვიფიქრე ჩემს გუნებაში, არც ვაციგვე, არც ვაცხელე და ჰირდაჰირ გავექანე, მივედი, — ჭიქა და-



მისვდა, შიგ მართლაც რაღაც ესსა; წამძლია სუფობა ველარ მოვითმინე და ჩაუშვი შიგ ჩემი ჰატარა ნორთუმი.. ერთობ ტკბილი სასმელი გამოდგა, რაღას მოვეშვებოდი! მივდექი და იმდენი ვსვი, სანამ თავმა ტრიალი არ დამიწყო, გრძობა არ დაგვარგე და შიგ მათრობელ სასმელში არ ჩაგვარდი... რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში, ამისი რა მოგახსენოთ, ცოტაოდნათ გრძობა კიდევ შეძრჩენოდა, მაგრამ უოველივე იმედი დაგვარგე და ჩემ საშინელს უბედურებას ვწუხდი... სიკვდილი და მერე ისიც ამისთანა ჯოჯოხეთში! ოჰ, ამაზე საშინელება განა იქნება კიდევ რამე?!

ამ გვარ მწარე ფიქრებში ვიყავი, როცა ჰატარა ემაწვილის უვირილი შემომესმა:

— დედა, დედილო, ერთი მოდი, ნახე: რაღაც გღია ჭიქაში! ნეტავი რა არის? ამ დროს ჰატარა ემაწვილის სუნთქვაც კი ვიგრძენი. დედა მოახლოვდა და ჩემს დანახვასე თავის ჰატარა ქალს უთხრა:

— ზეპელა, შვილო, შიგ ჩამკვდარა!

— ჩამკვდარა! უჰ! აფსუს, მერე რა ლამაზია!

— ლამაზია, მაგრამ, მსუნაგი უოფილა, სომ ჰხედავ, როგორ დაღუპულა.

— ვინ იცის, იქნება ჯერ კიდევ ცოცხალია. წამოიმახა ემაწვილმა.



— არა მკონია, ჩემო ძვირფასო, შესედე სრულდება ალარ ინძრევა.

— აბა, ვცდი მანც და ამოვიღებ, თქვა ბავშმა.

სსვა არა მინდოდა რა, ოღონდ კი ლანაჩაგი შემძლე-ბოდა, რომ მადლობა გადასახად ამ გულ-კეთილ პაწის ქნილებისათვის, რომელსაც ასე შევებრალე. საუბედუროთ აღარც ჩემი უღვაშების განძრევა შემეძლო, რომ ამით მანც შენიშნება ჩემი უკუღითადესი მადლობა; მთელი სსკული დამბლა დაცემულსავით დასუსტებული მქონდა, მხოლოთ ცოტა გონებალა შემრჩა. დიდის უურადლე-ბით ვადევნებდი თვალს, უოველ წვრილმანს, რაც კი ჩემს გადაჩენას შეესებოდა... ვიგრძენი, რომ სავერდის ფრთებ-ზე ვილაცამ ორი სუბუქი თითი მომკიდა, თანაც ამ დროს უძრავ ფესებზე ცივი წეალი დამესხა. მივხვდი, რომ წელთ სავსე ჭიქაში ჩამაგდეს, რომ წეალს შაქრის წვე-ნი მოებანა. მე მაშინვე დავიწეე მეცადინეობა, რომ როგორმე უფრო ჩქარა გადამერჩინა თავი... გავიდა რამ-დენიმე წუთი... ბოლოს გაუთავისუფლდი ამ საშინელი სქელი შაქრის წვენისაგან; ჩემმა სულგრძელმა მფარვე-ლებმა განაგრძეს ჩემ გადასარჩენათ ზრუნვა: ევაჯილე-ბისაგან გაკეთებულ ლოკინზე დამაწვინეს. ძალე ერ-თი ფრთის გაშლა შეუძელი. ემაწვილმა ამის დანახვაზე სინარულით ვგირილი მორთო:

— დედილო, დედილო, სომ კეუბნებოდი, არ არის მეოქი! უეურე, ინბრევა!..

— ეკ უკეთესი, ჩემო ნუცა, უნასუსა დედამ: ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ამ დილითვე კეთილი საქმე გაბაკეთე.

— თუ მე ამ შვენიერი ჰეპელას გადარჩენა მოვასწერსე, მაშინ ძალიან ბედნიერი ვიქნები!

— ჩემო ძვირფასო, ჩემო საუფარელო ნუცა, მოდი ერთი სუჭუჭი თმები გადაგიკოცნო, რომ ამისთანა კეთილი გულისა ხარ.

მართლა და საუფარელი რამ იყო ეს ჰატარა გოგონა! ჩემი სიცოცხლე უნდა, ჩემი გადარჩენა ენატრება! არ გაჯის, აბა, გლახა გიგლახს, რომელიც ჩემი წვალებების მეტს არას ფიქრობდა...

ვარდის სუნმა ნელ-ნელა მომასულიერა; ძალე უფრო თავისუფლათ ამოვისუნთქე, მაგრამ ჩემმა ჰატარა მიძამ გამობრუნება ვერ შემატეო, აიღო თითებით რამოდენიმე წვეთი წვალი და დამასსა ფეხებზე და ტანზე, რადგანაც სქელი წვენი კიდევ მეცხო ცოტაოდნათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამგვარი თავდადებული ზრუნვა უსათუოთ ძალე მომარჩენდა და ამიტომ იმედი მომეცა. გაიარა ასე რამოდენიმე საათმა, ჩემი ძვირფასი მეგობარი მიდიოდ-მოდიოდა, ხან და ხან სულ მარტო ვრჩებოდი, მაგრამ ისევ ძალე ჩემ სმენას შვენიერი კრიალა ხმა ატკობდა:



— როგორა ბრძანდები, ჩემო პატარა ჰეპლენგო! მებლერსებოდა სოლმე ნუცა.

ექვ, რა სასიამოვნო იქნებოდა, რომ პასუსის გაცემა შეძლებოდა:

— ძალიან კარგათა ვარ და შენ საშინლათ მიუვარსარ! მსოფლით ბუნება, რომელიც ჰეპლენგებს სილამაზეს აძლევს, აღარ იმეტებს მათთვის ენას, რომ სიტყვებით თავისი გრძნობის გამოხატვა შეიძლოს.

„სულ ერთია, ვინუგეშებდი თავს, როცა ფრენას შევიძლებ, ვეცდები, ჩემი სიუვარული ნუცას როგორმე გავაგებინო“. შუა დღისას, როცა მხემ დედა-მიწის ზურგზე უოგელივე განათა, ცალი ფეხი გაჰანძრე. ძერე მეორე, თავი გაჰაქნიე... ერიჭაა... მოვრჩი, მოვრჩი!

მინდოდა გავფრენილავიყავ, მაგრამ ეს სომ უმადურება იქნებოდა. ნუცა საუსმობდა, მე მარტო ვიუავი. კადავსწევიტე, ვარდებით სავსე მაგიდაზე გამესეირნა და ნუცასთვის მომეცადა. სიამოვნებით მივცოცავდი გზაზე, რომელიც ევაჯილებიკენ მიდიოდა; ამ დროს შემომესმა ნუცას ხმა, ის სიხარულით იცინოდა და ჭევიროდა:

— დედილო, დედილო, ჰეპლენგო მორჩა, დადის, ძალე ფრენასაც დაიწეებს! მე მაშანვე მის გარშემო ფრენა დავიწეე; ვუტრიალებდი, ხან და ხან ფრთას მოვახვედრებდი სოლმე და ვებლერსებოდა მის თურაძაულისავით წითელ

ლოებს. ნუცა კარგათ ჰხედავდა, რომ ყოველივე მისი მადლი
 ლობის მკვიერი იყო, რადგანაც სახესე კმაყოფილება
 ეტობოდა.

ამ დღიდან ისევ ძველებურ ცხოვრებას შეუდგა:
 თან-და-თან ჰკუცდ მომემატა; ახლა ამისთანა განსაცდელს
 არაოდეს არ დავიტეს თავს.

ნუცა სომ თავის დღეში აღარ დაძაწიწებდა. ყოველ
 დღე ერთმანეთს ვნახულობთ და, სანამ ამ ქვეყანაზე ვიქ-
 ნები, ჩემი ნახვით ყოველთვის გავასარებ, რადგანაც ასე
 ძალიან ვუყვარვარ.

ვანო.





შურთხი და ინდოურსი.

ტყვიან: ერთხელ მთიდანა
 შურთხი დაეშვა ბარათა,
 შეხვდა კიეკივა ინდოურს
 პირისპირ საუბარათა.

ინდოურს ნათესაისა
 შე'ვედრა დაეთაკილა;
 გაწყრა, ბუმბული აშალა,
 შერისხა, ასე გაჰკილა:

ჩემი გვარისა ყოფილხარ,
 ყველაც ამტკიცებს ამასა;
 შენც გენსომება, გეტყოლა,
 თუ რომ მოესწარ მამასა...

ახლა მართალი გამოდგა,
 რაც წინათ გამიგონია:
 მტკნარი ტუტუცი ყოფილხარ
 და გონიც არა გქონია!

აბა ვინ ჰკვათამყოფელი
 იზამს შენს ჩანადინარსა:
 გიჟურათ გიყვარს მთა-ქედი,
 ეტრფიალები მყინვარსა!

მისჩერებინარ უღაბურს
 ადგილს, კლდე-სიპთა ყორესა;
 დეკას, ეკლიან ღვიასა,
 მწვანე ბალახის მორეცა...

გამიგონია, რომ საზრდო
შენი ქვიშა და ბროლია,
თავშესაფართ კლდის ეხი,
ზედ დასახურათ თოვლია.
რაა იქ სახარბიელო?
თოვლი, ყინვა და ქარები
ერთმანეთს ეჯობებდნენ,
მიდამოს ბზარვენ ღვარები!..

გირჩევე, აქ იყო, ბარათა,
აქ ყოფნა სანატრელია:
თბილი სადგომი, საქველი
ნომ თავზე დასაყრელია!..
შურთხმა ამ საუბარზედა
ინდოურს ახედ-დახედა
და საპასუხოდ სიტყვები
ამაირები გაბედა:

გაგიტყდე, შენი ფიქრები
არ მამწონს, მეტათ მცდარია,
და შენი რჩევაც უგნური,
უნაყოფო და მკვდარია...
რა სათქველია, გავწირო
მიწა ნამადგარია!
წარბს ვერ შემხრის ბეწვება
მთის უამინდო დარია...

არა, ვერ ვიზამ! გამჩენმა
მთა დამილოცა ბინათა:
ჩემი სიცოცხლის წამებმა
პირველათ მთაში ინათა;
იქა მარხია ის ძალა,
ანდამატური თვისება,



რომლითაც სული ტყვევდება
 და გული ტრფობით იესება!


უმისოთ ჩემა სიკოცხლე
 შხამივით უგემურია, —
 ვერ გაეძლებ, დაეიტანჯები,
 როგორც გამცემი ურია!

მიწოდე, რაც რომ გენებოს:
 უჭკო-უგონოთ მყოფელი,
 ეს-კი იცოდე: ჩენს სიტყვებს
 მისხლით ასწონავს სოფელი!..

ან-კი რა გელაპარაკო,
 ვით გაგრძნობინო ნამდვილი,
 რომელსაც ტურუა სამშობლო
 საქათმეზე გაქვს გაცელილი?!

რა ეს სთქვა, შურთხმა მთისაკენ
 გულ-ლაღად შეიფთხრიალა
 და ბოღმა ინდოურისა
 მათ უფრო გააძლია!..

ზეზვა.



რატომ არის მაღლა ცაში მუდამ
 სიცივე?

(ჭუბუკინიჯან).



ატომ არის მაღლა ცაში მუდამ სიცივე? იმი-
 ტომ, რომ მზის სხივები პირ-და-პირ ჰაერს
 არ ათბობენ; ისინი ჯერ დედამიწას ათბობენ
 და შემდეგ გამთბარი დედამიწა ათბობს ჰაერს.

მზის სხივები ყველაზე მეტათ დედა-მიწას ათბობენ, დედა-მიწაზე
 ნაკლებათ — წყალს, ჰაერს კიდევ წყალზე უფრო ნაკლებათ. ამი-
 ტომაც ზამთარში, როცა ცა მოწმენდილია და დღისით ძალიან
 ცივა, სახლის სახურავეზე თოვლი დნება, თუმცა სახლის გარეშემო
 ჰაერი ძალიან ცივია. სჩანს, რომ ზამთრის მზე სახლის სახურავს
 მეტათ ათბობს და იმავე დროს ჰაერს კი ნაკლებათ. ზაფხულის მზეც
 ჰაერს თითქმის არ ათბობს: ჰაერის ბურთით მოგზაურები, რომ
 მაღლა ჰაერში ასულან, ამბობენ, რომ ღრუბლებ ზევით, სადაც
 მზე კარკათ ჩანს, ჰაერი ძალიან ცივია, ჰაერის ბურთზე კი რაც
 რამ ნივთებია თბილია.

მაშასადამე, მზის სხივი ჰაერში ისე გაივლის ხალმე, როგორც
 ჭიქაში: ის თითქმის სრულებით არ ათბობს ჰაერს. ადვილი შესა-
 ნიშნავია, რომ თანჯრის ჭიქა ჩარჩოებზე უფრო ცივია, თუმცა მზის
 სხივები ჩარჩოებსა და ჭიქას ერთნაირათ ხვდება. აბა ახლა ჭიქა
 დაღე გამთბარ ფიცარზე: მაშინვე შეამჩნევ, რომ იგი მალე გა-
 თბება.

დედამიწა ზაფხულში უფრო მეტათ ხურდება, ვიდრე ზამთარ-
 ში: ამიტომაც ჰაერი ზაფხულში უფრო თბილია, ზამთარში კი
 ცივი.



დედამიწა, როგორც ჩქარა თბება, ისე ჩქარაც ცივდება. ამიტომაც, როცა ცა მოწმენდილია და უღრუბლო, ზღვის კიდეებზე დღისით ცხელა, ღამე კი გრილა, ვიდრე თვითონ შუა გულ ზღვაზე. ზღვაზე კი სულ წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ: დღისით იქ გრილა, ღამით იმდენათ არა ცივა, როგორც ხმელეთზე, ამიტომაც მოხდება ხოლმე ხანდახან ამ გვარი მოვლენა, რომ სექტემბერში დღლით საზღვების სახურაზე თეთრს რთვილს შეამჩნევ, და იმევ დროს გემებზე კი, რომელნიც რამდენიმე ევრსით არ იან ხმელეთს მოშორებულნი, რთვილი სრულიათ არ არის.

თ. მთავრიშვილი.





ჯემს გარფილდის ცხოვრება.

V.

ა კარგი იქნებოდა, რომ სადმე აქ ახალი სკოლა გაეხსნათ, ჩვენი ქობის მახლობლათ, ეუბნებოდა ელიზა გარფილდისა თავის სიძეს, ბოიტონს.

— არა მგონია, რომ ვინმემ გაბედოს ახალი სკოლის გახსნა ამ მიყრუებულ ადგილში, შენიშნა ბოიტონმა.

— მოელაპარაკეთ მეზობლებს, ენახოთ, რას იტყვიან, მე რომ დაეუთმო სკოლის ადგილი ჩემს ეზოში? საკმარისია რვა ან ცხრა ოჯახობა შეეთანხმდეთ და საქმე შეენიერათ წავა. ახლა კარგი დროც არის შენობის ასაგებათ. რვა მარჯვე კაცი სამ დღეში ააშენებს სკოლისთვის ოთახს. ბოიტონი დაჰპირდა—მოველაპარაკები მეზობლებსაო და, მართლათაჲ ძალიან მალე მოაწყო საქმე.

შობა ჯერ სად იყო, რომ გარფილდიანთ ფერმაზე უკვე კოპწიობდა ერთი ახალი ოთახი, რომელსაც ზედ წარწერილი ჰქონდა: „სკოლა ყრმათათვის“. მეზობლებმა დიდი თანაგრძნობა გამოუჩინეს გარფილდის ქვრივის განზრახვას.

— აბა, ჩემო ჯემს, მე მგონია, ახლა თვითონ შენც იელი საკუთარი ფეხით სკოლაში, უთხრა თომამ პატარა ძმას. ეყოფა ხეთას—რაც მან ვირის მაგიერობა გაგიწია. იმედია, შენც კმაყოფილი ხარ ამით.

ბავშმა გაიღიმა და მიუგო—ძალიან კმაყოფილი ვარო. ამნაირათ ელიზა გარფილდის მეცადინეობით აშენდა სასწავლებელი. მანვე მოიწვია მასწავლებელიც. სკოლის შენობა შეიცავდა სულ სამ ოთხ-კუთხ საყენს. იატაკი ფიცრისა იყო. შიგ რამოდენიმე გრძელი სკამი იდგა—25 ბავშვის დასაჯდომი.

ქრისტეშობის თვეში ჩამოვიდა მასწავლებელიც, გვართ ფოს-



ტერი. ეს იყო 20 წლის ახალგაზდა კაცი, ახმახი, მოუხერხებელი მაგრამ გამრჯელი, გონიერი, გულ-კეთილი და ნიჭიერი. იყო საქმის დიდი ერთგული და შრომის მოყვარე. სწორეთ რომ ამ ახალ სკოლისათვის ძვირფასი განძა.

პატარა ჯემსმა მაშინვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. ფოსტერი და ბავში მალე დამეგობრდნენ. სკოლის გახსნის დღეს ორივენი ერთთა წაყვიდნენ და მთელი გზა ბაასში და სიცილში გაატარეს.

— იცი რას გეტყვი ჯემსო, უთხრა მასწავლებელმა, თუ შენ კარგათ ისწავლი როდესაც ვაიზდები „ლენერლობას“ მოგცემენ. ჯემსმა ვერც კი გაიკო, რას ნიშნავდა სიტყვა „ლენერალი“, მაგრამ მაინც მიხვდა, უთუოთ ეს კარგი რამ უნდა იყოსო, რადგანაც მასწავლებელი ამ სიტყვას რომ მეუბნებოდა თავზე ხელს მისვამდაო. გონიერ ბავშს მაგრამ ჩაუჯდა თავში ეს სიტყვა; დაბრუნდა თუ არა სკოლიდან მაშინვე ვაიქცა დედისაკენ და ჰკითხა:

— დედა! რას ნიშნავს „ლენერალი“?

— რათ, გინდა შეილო, ამის ცოდნა, ღიმილით დაეკითხა დედა.

— აი აგერ მასწავლებელი მეუბნება—თუ კარგათ ისწავლი „ლენერლობას“ მიიღებო. მე მინდა ვიცოდე, რა არის „ლენერალი“.

— მაშ დამიგდე ყური, უთხრა დედამ—მე გიამბობ პაპაშენის მამის ამბავს. ეს ამბობდა ამერიკის ახალ-შენთა თავისუფლებისათვის ერთი გამოჩენილი ლენერლის უფროსობით. დროც არის გაიცნო გარფილდიანთ გვარის ისტორია. აი საქმე რაშია: ჩენი წინაპრები იყვენ ინგლისელები; ერთს მათგანს, ედუარდ გარფილდს, არ მოსწონდა ინგლისის მაშინდელი წეს-წყობილება, მიიმხრო რამოდენიმე ამხანაგი, დასტოვეს ინგლისი, წამოვიდნენ ამერიკაში და დასახლდნენ მასაჩუსეტის შტატში—მის ტყეში, სადაც მარტო ინდოელები ცხოვრობდნენ. ედუარდმა იყიდა იქ მიწა და კარგათაც მოეწყო; თავის წითელ-კანიან მეზობლებთან ძალიან მეგობრულათ ცხოვრობდა. პირველ გადმოსახლებულთ მაგალითს მიჰბადეს სხვებმაც; უკმაყოფილო ინგლისელები გუნდ-გუნდათ გადმოსცურაედნენ ხოლმე ოკეანეს და აარსებდნენ ახალ-შენებს ამერიკის უტბე ტყეებ-

ში, უმეტეს ნაწილათ, რომელიმე მდინარის ან და ტბის დაახლოვებით.

—„ამ გარემოებამ მეტათ გააჯაგრა ინგლისის მართებლობა. გადასწყვიტა კიდევაც დაესაჯა მასაჩუსეტის შტატში დასახლებული თავიერი მოთავენი. მოვიდა ამერიკაში ჩამოდენი მე გემი წითელ მუნდირიან ჯარის-კაცებით, ჩამოიტანეს მრავალი ზარბაზნები, თაფი, ტყვია-წამალი „ყველას ერთიანათ გაგწყვეტთ.“—ეუბნებოდნ ისინი ახალ-მოშენებებს; მაგრამ ესენი სულაც არ შეუშინდნ, იშოვეს თვითონაც თაფები და დაუშინეს წითელ ჯარის-კაცებს; მაშინ პაპაშენის მამა, სოლომონ გარფილდიც, ჩაეწერა ამერიკის ჯარში და მედგრათ იბრძოდა ახალ-შენთა თავისუფლებისათვის. ყველა ჩვენ ჯარის-კაცებს ლურჯი მუნდირები ეცვათ—ლურჯივე ღილებით. ახალ-მოშენეთა ჯარს წინ უძლოდნ ღენერლები. მათ შორის უფრო სახელ-განთქმულა გიორგი ვაშინგტონი იყო.“

—„დასრულდა თუ არა „ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“, პაპაშენის-მამა, სოლომონ გარფილდი, გადასახლდა ნიუ-იორკის შტატში. აქ შეირთო მან ცოლი და ეყოლა შვილი თომა. თომა გარფილდი—პაპაშენი იყო. თომამ ცოლი შეირთო და ეყოლა აბრამი. ეს მამაშენი იყო. აბა, ეცადე არ დაგავიწყდეს რაც მე გიამბე, დაათვა დედამ თავის საუბარი, გახსოვდეს, რომ სოლომონ გარფილდი იყო შენი პაპის-მამა და იბრძოდა ინგლისელებთან ამერიკელ ახალ-შენთა თავისუფლებისათვის; თომა გარფილდი იყო შენი პაპა. შვილი მისი აბრამ—მამაშენი, პირველი ახალ-მოშენე ოგიოს შტატში. მაშასადამე შენ წინა-პართა შორის არ ყოფილა არც ერთი ღენერალი, თუმცა ბევრი მათგანი თავის ღირსებებით ღენერლებს არ ჩამოუვარდებოდა. თუ როდისმე შენ მიიღებ ღენერლობას, ამით მოიპოვებ ისეთ პატივსა და სახელს, რომელიც არ ღირსებია არც ერთს შენ წინაპართაგანს.“

ღმერთო ჩემო! რა განცეფრებაში მოვიდა ჯემსა, დედის საუბარის მოსმენით. მას არც კი ჰქონდა წარმოდგენილი, რომ მათ ძელურს გარშემორტყმულ ტყის გარდა არსებობდა კიდევ სხვა ქვეყანა და დახეთ, დედა ეუბნება, რომ გარფილდები ზღვით მოვიდნ ინგლისიდან და რომ ისინი სახელ-განთქმული კაცები ყოფილან.



ამ გარემოებამ ბევრი ახალი აზრი დაბადა ნიჭიერ ყმაწვილის თავში.

მეგობრული დამოკიდებულება იმასა და სკოლას მასწავლებელ შორის თან-და თან ძლიერდებოდა; ფოსტერი დარწმუნებული იყო, რომ პატარა გარფილდში მომავალი შესანიშნავი კაცი იზრდებოდა. მაგრამ ერთხელ როგორღაც ბავშვა შეაფუქრა მასწავლებელი. სკოლაში გადმოსვლის მეორე დღეს მან დაადგინა შემდეგი წესი:

„მოწაფენი (შეგირდები) ვერ დარსწაველიან გაკვეთილს, თუ აქეთ-იქით ცქერა დაიწყეს, ამიტომაც მათ სასტიკათ დაევალებათ მხოლოდ წიგნში ყურება, როცა კლასში სხედან“.

ჯემსისათვის ამ ახალი წესის შემოღება მეტათ სამძიმო იყო, როგორ მოეხერხებოდა ბავშვს რამოდენიმე საათის განმავლობაში გაუუნძრევლათ ჯდომა უზურგო სკამზე, რომ თვალიც არ მოეშორებინა წიგნისათვის, გარფილდი თავის დღეში არ მჯდარა ხუთ წამსაც წყნარათ ერთ ადგილას! მაგრამ, მან მაინც მისცა თავის თავს სიტყვა, უთუოთ დამორჩილებოდა ახალ მეგობრის განკარგულებას: „თუ კი აპარობ, ჩემო კარგო, ღენერლობას, ეტყოდა ხალმე თავის თავს გაწიერი ბავში, მაშ უჯროსების მორჩილებასაც უნდა შეეჩვიო“. მაგრამ ეს ასე ადვილი როდი შეიქნა. ჯემსი სიხარულით დემორჩილება კიდევ, მაგრამ თვალები რომ არ უჯერებენ, დარბიან და დარბიან აქეთ-იქით.

— ჯემს გარვილდა! დაუყვია მასწავლებელმა: ნუ თუ თქვენ დაგვიწყდათ კლასის წესა?

— დამეიწყა! — მოკლეთ უპასუხა ბავშვმა ზე უცებ დაუშო თვალები ძირს, მაგრამ ბევრ ხანს ვერ გასტანა. ერთი ამხანაგის კითხვაზე — მან ხელ-ახლათ ასწია თვალები.

— ჯემს! კიდევ დაგვიწყდათ წესი! ხელ-მეორეთ შენიშნა მასწავლებელმა. მოკლე მებსიფრება გქონიათ სწორეთ.

ბავშვს შერცხვა და ჩუმათ წიგნში ყურება დაიწყო. თუმც მზათ იყო დამორჩილებოდა, მაგრამ ვერაფერი გაეწყო თავის ცუცხალ თვალებთან.

მთელი ორი კვირის განმავლობაში ფოსტერი არ აცენებდა ჯემს გარფილდს და ყოველ წამს გაახსენებდა მისთვის საზაზღარ წესს. ბავშვს უნდოდა როგორმე ესიამოვნებინა თავის მეგობარ მასწავლებ-

ლისათვის, რის გამო მთელ თავის ყურადღებას თვალსაშენებლად ყურს არ უგდებდა რასაც ასწავლიდნენ და, რასაკვირველია, გაკვეთილებიც უწინდებულათ აღარ იცოდა ხოლმე.

მასწავლებელმა ერთხელ, ჯემსის თანადასწრებით, დედა მისს უთხრა: — სწორეთ არ მიხდოდა, ქალბატონო, თქვენთვის რავე საწყენი მეთქვა, ჯემსი ისეთი კარგი ბავშვა, მაგრამ მაინც უნდა შეგატყობინოთ... რომ ჯემსი ის არ არის სრულებით, რასაც მე ველოდი, ჩაილაპარაკა მასწავლებელმა.

— რას ნიშნავს ეგა? სწორეთ მიკვირს!

— კლასში თავის დღეში წყნარათ არ ზის, გაკვეთილებს ცუდათა სწავლობს. ეგჭობ, რომ ეგ თავის ღრუბე რაგიანი კაცი გამოდგეს.

— შეილო ჯემს! წამოიყვია თავზარ დაცემულმა გარჟილდისამ. მეტი აღარაფერი მოუმატა-რა, მაგრამ ესეც საკმარისა შეიქნა, რომ სრულ სასო-წარქვეთილებამდე მიეყვანა საწყალი ბავში, რომელიც იქვე იდგა და ამ საუბარს ყურს უკდებდა. ის თავქვე დაემხობა დედის მუხლებში, მორთო გულ-საკლავი ღრიალი და თანაც გაუწყვეტლივ იმეორებდა: — დედა, შენი ჭარბიმე, ჭკვიანი ვიქნები, მე მიხდა ჭკვიანი ბავში ვიყო.

— შეიძლება წყნარათ არ ზის კლასში? კიდევ ვკითხებოდა დედა მასწავლებელს; თუ ასეა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამას არ შეუძლია წყნარათ ჯდომა — ასეთი ბუნებისაა, რას უზამთ.

— ჩემო დედა! წყნარათ დაეჯდები ახლა კი, ყვიროდა ჯემსი და თანაც ცრემლებით იღვრებოდა.

— გაკვეთილები ყოვეთვის შეენიერათ იცოდა, შეენიერათ, ამტკიცებდა თან-და-თან უფრო და უფრო აღელვებული დედა.

— დედა, გენაცვალე, დღეიდან მე ყოველთვის კარგათ მაუგებ გაკვეთილებს! გულ-ამოსკენით ღრიალებდა ჯემსი.

— მე დარწმუნებული ვარ ამაში, მიუვო დედამ, ზოგიერთ ბავშებს ხანდისხან რაღაც ემართებათ, სულ იცვლებიან. ეგებ. ამასაც ისე მოუვიდა, მაგრამ მე იმედი მაქვს, ეს ღრუბითი მოვლენაა, მალე გაივლის.

— რასაკვირველია! რასაკვირველია! თქვა მასწავლებელმა და



თანაც მტირალ ბავშვს თავზე ხელი გადაუსვა. ბავშვის ცრემლებმა და ყვირილმა მეტათ შეაშინეს და ააღელვეს იგი.

— გეყოფა ღრიალი, დაისვენე, მე არ გიჯავრდები, მოდი შეერიგდეთ და დაევიწყოთ წარსული.

მხოლოდ ახლა მიხვდა გამოუცდელი მასწავლებელი ამათ თავის შეცდომას და მაშინვე გამოცეალა სკოლის უცნაურა წესი. ჯემს ნება მისცეს დამჯდარიყო კლასში, როგორც უნდოდა და ეცქირა, საითაც უნდოდა. შედეგი ამ ცვლილებას ძვირფასი მოჰყვა. არა ჩვეულებრივი ბავშვის დაკვირვების ნიქს მიეცა სრული თავისუფლება, მას არაფერში არ აეიწროებდნენ და კიდევაც შეიქნა მოკლე ხანში სკოლის სასახლო შეკირდათ.

კარგახანს არ ენახა დედას მასწავლებელი. როდესაც ამათ ნახეს ერთმანეთი, ფოსტერმა სიამოვნებით შეატყობინა: ჯემსს ვერც კი იცნობთ, ისე გამოიცეალაო; მართალია, კლასში მუდამ დახტის, ერთი სკამიდან მეორეზე გადადის, მოძრაობს, იქით-აქეთ იცქირება, მაგრამ სწავლობს კი შეენიერათო. გახსოვდეთ ჩემი სიტყვა, დაათვა მასწავლებელმა, რომ თქვენი უმცროსი ვაჟი შესანიშნავი კაცად გამოვაო.

— მე მრწამს სწორეთ ესა, მიუგო გარფილდისამ და ამ მოკლე სატყვეებში გამოიხატა მისი განუსაზღვრელი სიყვარული ჯემსისადმი.

ბავშვის ნამეტანი მოძრავი ბუნება ხშირათ აჯავრებდა ხოლმე მის უფროს ძმას თომას. ორივე იწვევ ერთს საწოლზე; ღამ-ღამით ჯემსი იმდენს ტრიალებდა, ისე ბორგავდა, რომ ზეწარიცა და საბანიც უფარდებოდათ იატაკზე და თომა ყოველ წუთს ილვებდა. ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ ჯემსი ძილში წამოიყვირებდა: „თომა, დამახურეო!“ მაშინ უფროსი ძმა ჩვეულებრივის მზრუნველობით ახურავდა საბანს პატარა ძმას...

გავიდა 25 წელი, ჯემსი ღენერალი გახდა და არ დაევიწყებია თავისი ბავშობის ჩვეულება. ერთხელ ღამით, ცხარე ომს შემდეგ, ჯემს გარფილდი დაწვა დასაძინებლათ მიწაზე; ძილში იმდენი იტრიალა, რომ გადაიგდო სახურავი და, რო შესცივდა, დაიყვირა ძილში, როგორც ბავშობის ღროს: „თომა დამახურეო!“

ერთმა ოფიცერმა უტბათ დაახურა საბანი, მაგრამ როგორღაც უტბებდათ გააღვიძა. როდესაც აუხსნეს, რაში იყო საქმე, ჯემსმა

მიიბრუნა პირი უკან და დაიწყო ბავშვით ქეთინი, მან მოიფრინა „ძელური“ ოგოს შტატში, თავის საწოლი, თავის გულ-კეთილი ძმა თომა და ბოლოს მასწავლებელი ფოსტერიც.

ჯემს გარფილდი უყვარდათ ნათესაებს და ყველა ამხანაგებს, მასში იყო რაღაც თავისებური, მიმზიდავი ძალა. ის სიხარბით კითხულობდა ყველა წიგნებს, რაც კი მოხვდებოდა ხელში, სწავლობდა შეწინააღმდეგებლად და ექვსი წლის უკვე ეხმარებოდა თავის ძმას ოჯახობაში.

გარფილდის და ბოიტონის ბავშვებმა გამართეს საღამოები კითხვაში ვარჯიშობისათვის, სადაც ზამთრობით საღამო-საღამოობით დიდის ალტაცებით მეცადინეობდნენ ხოლმე ხმა-მაღალ კითხვაში. ჯემსმა ამაშიაც ყველას წინ გაასწრო: ყველამ ერთხმად გადასწყვიტა: ჯემსი ხელოვნურათ, ოსტატურათ ჰკითხულობსო. საზოგადოთ, რასაც კი მოჰკადებდა ხელს, ყველაფერში ჯემსი პირველი იყო.

VI.

ჯემსი რვა წლისა იქნებოდა, როდესაც იძულებული შეიქნა ეკისრა თითქმის ყველა სამძიმო სამუშაო ფერმაში; თომა ხშირათ მიდიოდა თითო-ოროლა კვირაობით სამუშაოთ, საიღამაც კარგი მოგებაც მოჰქონდა. ამ დროს ჯემსი ასრულებდა ხოლმე უფროსი ძმის მოვალეობას. პატარა გარფილდმა კარგათ იცოდა შეშის დაპობა, ძროხის მოწველა, პურის განიავება, ბოსტნეულ-მწვანილის დარგვა—თესვა, ერთი სიტყვით, პატარა ჯემსი იყო ნამდვილი დახელოვნებული მიწის მუშა.

თომა თავის ნაშრომი ფულით ძალიან ეხმარებოდა ოჯახს. დედა და ბავშვები ახლა აღარ იკლებდნენ არაფერს, თბილ ტანისამოს გარდა საჭირო იყო წიგნები, საწერი ქაღალდი, კალმები, და ბევრი სხვა. ასე რომ, რაც მოჰქონდა თომას—სულ ოჯახს უნდებოდა.

— ჯემს, უთხრა ერთხელ დედამ: შენ რვა წლისა ხარ, თომა კი ჩვიდმეტის. როდესაც მამა თქვენი გარდაიცვალა, შენი ძმა თერთმეტი წლისაც არ იყო, მაგრამ ფერმაზე მამის მავიერობას ასრულებდა. მაშ მოემზადე შენც ძმის ადგილი დაიჭირო. ის მალე გახდება



სრული წლოვანი და უნდა წავიდეს სადმე ფულის საზოგადოებაში რომ შემდეგში შეიძლოს თავისი თავის ჩრენა. შენ ღარჩებო ფერმის სრულ გამკეთ.

— მერე რაო, დედა, მე—მზათა ვარ... მიუგო ჯემსმა. მაშინ მე ეიქნები 11 წლის და მეურნეობაც კარგათ მეცოდინება.

— იმედი მაქვს, თავის ღროზე ამოიჩრეფ უკეთეს ხელობას! შენიშნა დედა.

— მერე რა იქნება მეფერმეს ხელობაზე უკეთესი?—წამოიძახა ჯემსმა.

— განა მღელლობას ან მასწავლებლობას არ ისურვებდი? შენ შეგიძლია იშოვნო სოფლის მასწავლებლობა თერამეტი წლისა რო გახდები.

— აგრე აღრე? გაიკვირა ჯემსმა.

— მე ეიცნობ ბეერ ახლოგაზდას, მაგ ხანში გამხდაჩან მასწავლებლათ, თქვა დედა. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ ახლანდელ მდგომარეობაში ოჯახობა უფრო გამოსადევია: უამისოთ პურსაც ვერა-ვქამთ.

— მართალია, მართალი, დაიკვირა ჯემსმა და დაინახა თუ არა ძროხები მოდიანო, ფიცხლავ ბაკებისაკენ გაიქცა. საკვირველი იყო ამ ნიჭაერ ბავშვის ხასიათის სიმტკიცე. მისთვის სიტყვა „არ ვიცი, არ შემიძლია“ თითქო არ არსებობდა.

დედა ხშირათ ეტყოდა ხოლმე თავის შეილებს: ეცადეთ, რომ თქვენ ცხოვრებაში სიტყვა „მსუხს“ ნიშნავდეს „ავასრულებ“. ნუ დაინვიეთ ნურათურ სიძნელის წინ; ეცადეთ საკუთარი ღონისძიებით ხალისით. ნურასოდეს ნუ იქონიებთ სხვის შემწეობის იმედს, გარდა ღეთისა, და იცხოვრეთ ისე, რომ თქვენი სიტყვა და საქმე ერთი იყოს. ბავშობიდანვე შეეჩვიეთ უფროსების მორჩილებას, რათა შემდეგში სხვის დამორჩილება მოახერხოთ.

ჯემსი ჯერ სულ ბავში იყო, რომ მის ცხოვრებაში მოხდა კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენათ შემუშავებული ჰქონდა მას უკვე ამ დროს ხასიათის სიმტკიცე. ის იყო ცხრა წლისა; სკოლაში იჯდა თავის ბიძაშვილ ჰენრიხ ბოიტონთან. ერთხელ როგორღაც ორივე ბავშს ცელქობა მოუწდათ, დაიწყეს ჩურჩული, ხარხარი. მასწავლებელი მაშინვე მიხვდა, რომ

ისინი რაღასაც აპირებდნენ და გარდაწყვიტა დაეშინებოდათ, მათაც შეეშინა ძლებოდა უფრო სასტკაათ.

— ჯემს და ჰენრიხ! დაუყვარა მასწავლებელმა, აიღეთ წიგნები და წაღათ შინ.

ამ ბრძანებამ ცოტა არ იყო შეაფიქრა ბავშვები. გადახედეს ერთმანეთს, ადგილიდან კი მაინც არ დაიძრნენ.

— ნუ და ყოყმანობთ, განუშეორა მასწავლებელმა, — გაღათ გარეთ!

— ახლაც წავალთ, მიუგო ჯემსმა.

ჰენრიხმა კრინტიც არ დასძრა და ორივენი გავიდნენ. პატარა გარფილდი იმ წამსვე შურღულივით შინისკენ გაექანა, მიიბრინა კარამდინ, დედას, რასაკვირველია, არ ეჩვენა და სირბილ-სირბილით ისევ უკან დაბრუნდა. ყოველივე ეს ბავშვმა მოახერხა სულ სამ-ოთხ წამში.

სკოლის ოთახში რო შევიდა ის ქშინავდა, როგორც ორთქლის მანქანა.

— ჯემს გარჴილდო! დაუყვარა გაჯავრებულმა მასწავლებელმა, მე თქვენ გიბრძანეთ შინ წასვლა.

— ვიყავი უკვე შინ, უპასუხა გარფილდმა.

— როგორ? იყავი შინ?

— ღაბ, ვიყავი და კიდევაც დავბრუნდა. თქვენ ხომ არ გიბრძანებიათ, რომ იქ დავრჩენილიყავი.

— მაშ დარჩით აქ, უთხრა ღიმილით მასწავლებელმა.

ჯემსი დარჩა კლასში და, რასაკვირველია, თავი ისე ეჭირა, რომ მეორეთ შინ გაკზავნა საჭარო აღარ შეიქნა. ნაკლებ მოხერხებულმა ჰენრიხმა კი სიტყვა-სიტყვით დასრულა მასწავლებლის ბრძანება; იხეტიალა რამოდენიმე ხანს სკოლის ახლო-მახლო, შემდეგ გაემგზავრა შინისკენ და იქ დარჩა.

ჯემს გარფილდს სამაგალითო დამშვიდებული ხასიათი ჰქონდა, არაფერს არასოდეს არ უწყურებოდა, არ ჭირვეულობდა, იყო მხიარული, ვით მეტყუბალი, მოუსვენარო, ვით ჭრიჭინა და გულ-ლია, ვით მაისის დილა. ამ ამბის შემდეგ სკოლის მასწავლებელი ფოსტერი და პატარა ჯემსი კიდევ უფრო დამეგობრდნენ, ასე რომ მათ შორის შემდეგ არ მომხდარა არავითარი შეტაკება.



ჩვენი გმირი შეიქნა 11 წლისა, თომა კი 20-ს. ადგილობრივმა ოლქის მზრუნველობამ დაადგინა ოგიოსში საზოგადოების ხარჯით დიდი სკოლის აშენება, ძველა შენობა კი უნდა დაეთმო იაფ-ფასათ თომა გარფილდისათვის. თომა და ჯემსმა თავის ბიძაშვილების შემწეობით მაშინვე გადმოიტანეს სკოლის შენობა და მიუშენეს თავიანთ ძეგლურს.

VII

— ჩვენთვის, მუშაკ-ახალმოშენეთათვის, კვირა დღე უფრო საჭიროა, ვიდრე ვინმე სხვისთვის, — არა ერთხელ უთქვამს გარფილდისას თავის ბავშვებისათვის. — მეოთხე მცნება: გახსოვდეს დღე იგი შაბათი... სასტიკათ დატული უნდა იქნეს ჩვენ მიერ — აქ ტყეშია, თუმცა საყდარი არც კი გვაქვს. დიდ სოფლებში და ქალაქებში აშენებენ საყდრებს ანუ ეკლესიებს; იქვე ააშენებენ ხოლმე მაღალ კოშკებს ანუ სამრეკლოებს, და ამ კოშკთა სახურავას წვერზე ჰკიდებენ ზარებს.

— მერე რათ უნდათ ზარები? ჰკითხა ჯემსმა.

— მისთვის, შეილო, რომ დანიშნულ დღეს და საათს შეიკრიბოს ხალხი სალოცავათ, მიუგო დედამ.

— დედა, რა კარგი იქნებოდა, რომ უცებ ჩვენს ტყეში ზარმა დაიგრილოს! ალტაცებით წამოიძახა ჯემსმა.

— რასაკვირველია, შეილო. რა მხიარულათ გავატარებდით ყველანი კვირა დღეებს! მაგრამ ჩვენ სად გვეღირსება ასეთი სიკეთე? ერთ სალოცავ სახლს გავაშენებდეთ მაინც, ამისთვისაც ღმერთს დიდ მადლობას შევსწირავდით.

— ახ, ნეტავი მაცხოვრა დიდ ქალაქებში, სადაც არის მაღალ სამრეკლოებიანი სალოცავები — თქვა ჯემსმა.

— ვინ იცის, ეგებ თავის დროზე, შენ კიდევაც მოგიხდეს, შეილო, ასეთ ქალაქში ცხოვრება, შენი მნა დედამ.

გარფილდისანი წმინდათ ინახავდენ კვირა დღეს. დილას დედა შეილებთან ერთად ილოცავდა, შემდეგ ხმა-მაღლა წაუკითხავდა რამეს დაბადებიდან და თან მარტივად და მკაფიოდ აუხსნიდა წაკით-

ხულის მნიშვნელობას. ჯემსმა თავის საკვირველი მენსიერების შემწეობით, ისე კარგათ შეითვისა ზოგიერთი ამბები „ლეთის წიგნიდან“, როგორც თვითონ ეძახდა „დაბადებას“, რომ იცოდა, რომელ გვერდზე რა ეწერა.

როდესაც ბავში რვა წლისა შეიქნა, ამერიკაში დაიწყო დიდა მოძრაობა „ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების“ სასარგებლოთ. გარფილდისა ძალიან თანაუგრძნობდა ამ საზოგადოებას.

—სიმთვრალე, ჩემის აზრით, საშინელი ცოდვია, ეუბნებოდა ბავშვებს და თან „ლოთობის წინააღმდეგ საზოგადოების“ დაარსებაზე მოუყვებოდა ხოლმე ლაპარაკს. მამა თქვენიც ჩემი აზრისა იყო: მას მთვრალის შეხედვაც ეზარებოდა და ყოველთვის ამბობდა, რომ მხოლოდ სრულიად უხასიათო კაცი დაემორჩილება ისეთ სენს, რომლისაგანაც იღუპება კაცის ფიზიკური და გონებრივი ძალაო.

—მერე რისთვის სვამენ, თუ აგრე მანებელია? იკითხა ჯემსმა.

—სჩანს, რომ ვერ მოუთმენიათ, მიუგო დედამ.

—როგორ თუ ვერ მოუთმენიათ? დაიყვირა განცვიფრებულმა ბავშვმა. მე უსათუოთ მოვითმენდი.

მის ხმის კილოში უკვე ინატებოდა კაცი, რომლისთვისაც, შემდეგ მართლათაც შეუძლებელი არა რა იყო. უეჭველია, პატიოსანსა და სარწმუნოებრივს მიმართულებას გონიერის დედისას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯემს გარფილდის ხასიათის შემუშავებაში.

VIII

— აბა, ჯემს, ახლა შენ დარჩები ფერმის სრულ გამკეთ, რადგანაც მე მიჩიგანის ოლქში მივდივარ, გამოუცხადა ერთხელ თომამ თავის უმცროსს ძმას.

— სად? რისთვის? ჰკითხა ცქვიტმა ყმაწვილმა.

— მე წავალ მიჩიგანის ოლქში, — განუმეორა უფროსმა ძმამ; მე მიქირავეს ტყის გასაწმენდათ, ჯამაგირი 12 დოლლარი *) მექნება თვეში.

*) დოლლარი უდრის რვა ანაზს.



—გეყოფა, ნუ ცრუობ! ნუ თუ შენ ამდენს მოგცემენ? შეიტანა ჯემსმა.

—გეუბნები, 12 დოლლარს მივიღებ თვეში მეთქი. მეტი რაღა გინდა; მართალია, მძიმე სამუშაოა, ალიონიდან დაღამებამდე და ღამითაც უნდა იმუშავოს კაცმა, მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ აუშენებთ დედას კარგ სახლს.

—ეგ კი კარგი იქნება სწორეთ! მხიარულათ წამოიძახა ჯემსმა. ის ამ წელს 12 წლისა შეიქნა, თომა კი 21-ს. გარფილდიანთ ოჯახში კი ხანია ლაპარაკობდენ, რომ გახდება თუ არა თომა სრულ-წლოვანი, სხვაგან უნდა წავიდეს ფულის საშოვნელათაო.

თომამ იზოვა კიდევ სამუშაო, დედა კმაყოფილი დარჩა, თუმცა გული სწყდებოდა, რომ თომა მიდიოდა შორს, მთელი ნახევარი წლის ვადით მიყრუებულ ადგილას.

—ნუ სწუხარ, დედა, ანუგეშებდენ ამას ორივე ვაჟები. ნახევარი წელიწადი ისე უცებ გაივლის, რომ ვერც კი შევამჩნევთ.; სამაგიეროთ შენ გექნება კარგი მაგარი სახლი და არა ძელური, განა ეს ხუმრობაა! 12 წელიწადია ხომ რაც არ გიცხოვრია კარგ სახლში.

—ძლიერ კარგი იქნებოდა თუ კი გამართლდება თქვენი განძრახვა, ღიმილით შენიშნა დედამ.

—გამართლდება აუცილებლათ! გადასწყვიტა თომამ. ამის საფუძველიც ჰქონდა: უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში ეს ბეჯითათ ამზადებდა დახერხილ ხე-ტყეს, და ყოველივე მასალას, რაც კი საჭიროა; მას იმედი ჰქონდა, რომ მოაგროვებდა იმდენ ფულს, რომ ააშენებდა დედისთვის ახალ სახლს. აბა როგორ არ გაეხარებოდა თომას, სამუშაოს შოვნა? ახლა ფული თითქო ჯიბეში ჰქონდა და ახალი სახლი დედისათვის აღარ შეადგენდა ოცნებას.

სანამ გაემგზავრებოდა თომა შეუღლა წინ-და-წინ ჯემსის წერთნას მეოჯახობაში: ერთათ ხნადენ, ერთათ თესადენ პურს, კარტოფილს; ერთი სიტყვით, ორივემ ერთათ გაათავეს ყველა გაზაფხულის სამუშაოთ.

თომა გაზაფხულის გასულს უნდა გამოცხადებულყო თავის ახალ ადგილზე.

დედას დედათ ეძინებოდა თავის პირმშოს მოშორება ექვსი თვით, მის თვის ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ამ დროს განმავ-

ლობაში ვერ დაინახავს თავის საყვარელს შვილსა, ვერ გაიგონებს მის ძვირფას ხმას, მას მოაკლდება საუკეთესო თანაშემწე და რჩევანის მომცემი.

ჯემსიც ძალიან წუხდა: ორივე ძმას დიდათ უყვარდათ ერთმანეთი. თომას თავი მოსწონდა ჯემსითა და ჯემსი კი პატივსა სცემდა თომას და ყოველ მის სიტყვას ერწმუნებოდა. თუმცა ერთმანეთის მოშორება ორივესთვის მეტათ საძნელო იყო, მაგრამ სასტიკათ მაღავედნ ღედისა და ღებისაგან თვის გრძნობებს და მხიარულათ აჩვენებდნ თავს იმ ღღესაც კი, როდესაც თომა გაემგზავრა შორის გზისაკენ.

თომას წასვლა ძალიან დაეტყო ძელურს, იტყოდით, სახლი დაცალიერდაო, მაგრამ გარფილდის ოჯახობა შეჩვეული იყო, მწუხარებასა, ჯაფას, და არ კარგავდა სულის მხნეობას და უწინდებურათ ეწეოდა თავის მწარე უღელს.

ჯემსი ძალიან კმაყოფილი იყო თავის ცხოვრებით და ბედნიერათ თვლიდა თავს. მას არა ერთხელ გაეგონა თავის ღედისაგან, რომ ტყეში ცხოვრება ძლიერ სასარგებლოა იმისთანა ღარიბ ხალხისათვის, როგორც თვითონ იუვენ; აქ არც განსაცდელია რამე, არც მდიდარი მეზობლები, რომელთა ცხოვრებას, შესაძლებელი იყო, შური აღეძრა კაცის გულში. ამათ ყოველდღე თვისი საკუთარი შრომით ჰქონდათ მოპოვებული.

ბატუა.

(შემდეგი იქნება)



საკვირველებანი ბუნებისა.

 მკვდრეთით აღმდგეო ყვავილი (La fleur de
 Resurrection)


ს საიდუმლოება ბუნებისა, ნამდვილი საიდუმლოებაა და, თუ გნებავთ, სასწაულოც. საიდან და როგორ გაჩნდა ქვეყანაზე ეს ყვავილი? არ იციან არაეინ. ეს არა ჰგავს არაეითარ სხვა მცენარეს მთელს ქვეყნიერობაზე. არ იციან დღემდე მისი წარმომავლობა, მისი მოდგმა, მისი ჯიშის. ეს ერთად ერთია მთელ დედამიწის

ზურგზე: არა ჰყავს მას წინაპარი, არა ჰყავს შთამომავლობა,—ობოლია, უთვისტომო, უნათესავო.

ძალიან ახირებული და თითქმის დაუჯერებელია ამ ყვავილის ამბავი. თეოთ მისი პირველად შეძენა და ხელში ჩაგდებაც-კი უფრო ზღაპარსა ჰგავს, ვიდრე მართალს, კაცმა რო ყური დაუგდოს.

ეს მომხდარა 1848 წელს. ამ დროს განეზრახა სახელოვან მეცნიერ დეკს ზემო მისრეთის (ეგვიპტის) ქვეყნებში მოგზაურობა და იმ არე-მარცს კვლევა-ძიება. ამ მოგზაურობის დროს დეკი შეჰხვედროდა ერთ მ.ახუც არაბს, რომელიც მას სიკვდილიდან გადაერჩინა. არაბი ღარიბი კაცი ყოფილიყო, მაგრამ მას მაინც მოენდომებია თეისი მხსნელისათვის ნიეთიერთ მადლობის გადახდა. და გადაეხდა კიდევ: მას ეძღვნა მეცნიერ დეკისათვის ისეთი საჩუქარი, რაც მთელ ქვეყნის სიმღირეს შეეწონებოდა, რასაც მთელ ამა სოფლის დიდებულ მეფენიც ვერ შემძლებელ იქმნებოდნენ.

რა იყო ეს ასეთი ძვირფასი საჩუქარი?

ეს იყო ერთი პაწია მცენარე: სუსტი, უღონო, გამოფიტული, გამხმარი; მხოლოდ ორგან ეტყობოდა თითო პატარა კვირტი და ისიც, მთლათ ამომწვარი მზისაგან. ეპოვნა ეს ყვავილი არაბს ტრამალ 1) მინდვრათ, ძველის ძველ სამარეში, ერთ მიცვალებულ მისრელი მოგვის გულზე. არაბი დიდათ უქებდა დეკს ამ ყვავილის ღირსებებს და ეუბნებოდა, რომ ვერაერთარი მცენარე ვერ შეედრება ამ პაწია ბილილას, 2) ისეთი თვალთმაქცობა ჰქირსო.

დეკს რასაკვირველია, სარწმუნოთ ვერ მიეჩნია ესეთი გადაჭარბებული ქებათა-ქება ამ უბრალო მცენარისა და ტუჩებში ღიმი მოჰსელოდა.

მაშინ არაბს აელო რამდენიმე ცვარი წყალი, დეწქაპწკაპებინა იმ მცენარისათვის და გოცებულ მეცნიერის თვალთა წინ მომხდარიყო ნამდვილი სასწაულ-მოქმედება. — მცენარე ათრთოლებულიყო, აყრჳოლებულიყო; ღერო ცოტოცოტაობით გასწორებულიყო, კვირტები გავსილიყო; მთელ მცენარეს ფერი მისცემოდა და, როგორც ახლათ გამოფხიზლებულს, ზმორვა და ნელი მოძრაობა შესდგომოდა — სიცოცხლე დასტყობოდა. შემდეგ კვირტები გადაჰხსნოდა და მშვენიერი, თვალის მიმტაცი, ნორჩი, როგორც ახლათ გაფურჩინილი, ყვავილები გადაეშალა. ნელ-ნელაობით, მძიმე-მძიმეთ გადაეხსნა ყვავილს გული და გულშიაც ჩაკონილი რამდენიმე მარცვალი-თესლი გამოსჩენოდა.

მაგრამ აი უბედურება! სად უნდა ჩააბნოს მან ეს უძვირფასესი მარცვლები? რომელ მიწას უნდა ანდოს, რომელ სხივს მზისას. ვის შეეძლება მისი მოვლა, მისი აღმოცენება? როგორ უნდა გამოიმეტოს მან ის საყვარელი თესლები, რომლებიც, ვინ იცის რამდენი საუკუნოებია, ესე ჩაკრული და ჩახუტული ჰყავს გულში!

შემდეგ მკედრეთით აღდგომისა, მცენარე კვლავ მოსწყდა, მოდუნდა; დაეკარვა ფერი და ელვარება; დაეკეცა ფოთელი ფოთელს, შეეხვია, გაყვითლდა, განმა. ერთის სიტყვით, იგივე განდა, რაც იყო.

1) ტრამალი — ტრიალი მინდორი, „Степь“.

2) ბილილა — ყვავილია.



ახლა ისევ მკედარია საწყალი მცენარე, ერთი წამის წინ კი ცოცხალი იყო, ჰყვოდა, ელვარებდა და კვლავ ისევ მოკვდა. თვალითა სჩანს მხოლოდ ისევ ის ორი კვირტი ამომწვარი და ამომხმარი მზისაგან.

მეცნიერმა დეკმა მოიტანა თან ეს ყვავილი და რატო ათასჯერ მეტათ არ აღადგინა იგი მკვდრეთით.

სიკედილის შემდეგ მან უანდერძა ეს ყვავილი ერთს თავის მეგობარს, მეცნიერს ლიამს, რომელიც აგრეთვე მრავალ-ჯერ აცოცხლებდა ხოლმე ამ სასწაულოთ მომკმედ ყვავილს.

ბოლოს ერთი ამ ყვავილთაგანი უთავაზეს დიდებულ გუმბოლდტს, რომელსაც, ვინიცის, რამდენჯერ აღუდგენია მკვდრეთით ეს მისრეთის სამარის ყვავილი მთელ სამეცნიერო აკადემიის თანადსწრებით. ყვავილი, რასაკვირველია, იმის ხელშიაც ისევე ცოცხლდებოდა და კვდებოდა, როგორც არაბისა და დეკის ხელში; ხოლო ვერც ის დიდებული გუმბოლდტი მისწდომოდა მის საიდუმლოებას და ყოველთვის ნაღვლითა და გულნატკენობით ამბობდა ხოლმე: „მეჯერ ამის მაგვარი არა ვიცი-რა მთელს ბუნებაშიო“.

ვლ. აღნაშვილი.



დევ-გმირი ხალხი

(ჯავახეთში გაკონილი ზღაპარი).

I

მრთი ახალგაზდა ბიჭი, რომელსამე მებატონეს მო-
 ჯამაგირეთ დაუდგა.

— მერე რას ითხოვ წლის ჯამაგირს? — ჰკითხა მება-
 ტონემ.

— მე, შენიჭირიმე ბატონო, ჯამაგირი არ მინდა, უა-
 ლი რომ გამითავდება, რამდენიც სურვით ვზიდო, იმდენი
 ღვინო მაჩუქე — მოასხენა ბიჭმა.

მებატონეს ცოტა არ იუოს ეუცსოა ამ გვარი ზასუსი,
 მაგრამ მანაც დაეთანხმა.

აბა წელიწადს ხო ბევრი არა შეუძლია რა, — გაიარა
 გაზაფხულმა, დადგა საფსული, მოვიდა ღონიერი შემოდ-
 გომა, მერე „თებერვალიც დადგა, ხეში წყალი ჩადგა“,
 ბაჭსაც უავლი გაუთავდა და ბატონს თავი დაუკრა:

— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა, ბატონის სიტყვა
 ხომ არ გატყდება და უბძანეთ, შენი ჭირიმე, ჩემი ახი
 მომცენ და გამისტუმრონ.

ბატონს არ უნდოდა ერთგული მოსამსახურეს გას-
 ტუმრება, ბიჭი უარსე იდგა. ბატონმა მოურავს უბძანა:
 რაც ერგება ბიჭს მიეცით და გაისტუმრეთო.



მოიტანა ბიჭმა კვარძანი რუმბი, მოხადეს ვერ ქვე-
 ვრს, ვერ გაავსო, მოხადეს მეორეს, ვერ გაავსო. გაოცე-
 ბული მეკუჭნავე ბატონთან გაიქცა: — შენი რისხვა არა მაქვს
 ბატონო, მთელი ძარანი რო დაგცალოთ ი რუმბს ვერ
 გაავსებთ ღვინით. — როგორ თუ ვერ გაავსებთო! დაუვი-
 რა განრისხებულმა ბატონმა — რას მიუდ-მოედები შე ბრი-
 ეო შენა! ჩემისთანა შებატონემ ერთი კაცის სურგის სანაღნე
 ღვინოც ვერ შესძლო!

ამოწურეს ვეულა ქვევრები, გაამსო ბიჭმა ღვინით
 რუმბი, მოაკრა ზირს, სურგზე წამოიკიდა, ვეულას მად-
 ლი მოახსენა და გზას გაუდგა...

II.

ბიჭმა ბევრი იარა, ცოტა იარა და ერთ აღმართს რო
 შეუდგა, ცოტა არ იუოს სანაღნემ დაამძიმა, გაუჭირდა.
 ამ დროს ზემოდან ერთი ცხენოსანი თავქვე მოდიოდა,
 დაინახა რუმბი თუ არა სიამოვნებით დაიძახა!

— იჰ! ღვინოს დავლევ მკონია.

— ტუელი მოგიკონია! — შესძახა ქვევიდან ბიჭმა და
 რუმბი მოისადა.

მხედარიც ჩამოსტა ცხენიდან.

— აი რა გითხრა მძობილო, — დაიწყო ბიჭმა. თუ
 ერთ ელუზათ და ერთ ელურწათ დასცლი ამ რუმბს, ჭა-
 ლალი იუოს, ღმერთმა შეკარგოს, თუ არა და შენ ცხენ-
 სე ხელი უნდა აიღო.

შეკრეს ზირობა...

მხედარი დაეწაფა ღვინოს: ელე...უ...უბ, ელე...უ...უბ... და ცალიერი რუმბი ჯაკებისკენ გადასროლა... შერე წა-
აგლო ბიჭს კისერში სელი, კურდღლის ბაჭისაგებ წუღის
ველში ჩაისვა, ამხედრდა და გზას გაუდგა... შინ რო მი-
ვიდა, წინ ცოლი სიხარულით მიეგება.

—უი შენ გენაცვალოს შენი თინა — მოუხალერსა
ცოლმა და ცხენი ჩამოართვა.

ქმარი ცხენიდან რო ჩამოვიდა, წუღის ველიდან ბი-
ჭი ამოიყვანა და თავმოძწონეთ ცოლს მიაწოდა:

—ჰო მართლა, ცოტა დარჩა დამხვიწუდა... აკერ ერ-
თი ბღარტი მოგკვარე, მხოლოთ კი ნურას აწევენ, ჩემო
კარგო.

—ი-ი ქა, ეს რა ძრეულ გიკვირს, ჩემო სიცოცხლეკ,
—მიუგო ცოლმა, —შენ რო მამაჩემის გმირობა ნახო მა-
შინ რაღას იტყვი?!

ქმარს ძრეულ ეწეინა, გაუკვირდა: „ჩემსე გმირი ვადა,
კანა ვინ უნდა იეოსო“ გულში ფიქრობდა. თურმე ცოლი
ისე შეერთო, რო მისი დედ-მამა არ ენახა. ახლა კი ვე-
ღარ მოითმინა და გულნატკენმა გასწია თავის სიმამრის
სამებრათ.

III.

ჩვენმა გმირმა ბევრი იარა, ცოტა იარა, ერთ სახემ-
წიფოში გადავიდა და სარწვაკ მინდორს მიადგა. როცა
წებლის რე უნდა გასულიყო, ცხენმა წაიბორძიკა, წაიქცა
და ეს გმირი ცხენიანათ წებლმა მოიტაცა. ხნულში ვი-

დაც კაცი იდგა, ენას რწეავდა. რუს ნიხაბი რო ამოჴქუ
 სვა, გაოცებული დარჩა—წუალს ცხენი და კაცი ამოჴქუ
 და უცაბედათ კი სწულში გადისროლა! შერე კი შეამჩნია,
 ასლო მივიდა და ნახა რო ადამიანიშვილი იყო. შეეცოდა,
 ფეხზე წამოაყენა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ბლარტო?

— ფლანის და ფლანი კაცის სიძე ვარ, — უპასუხა
 ბიჭმა.

— ოჰ! ბალო, მამ შენ ჩვენი სიძე ხარ? მოიცადე,
 აი ხაცვა შენი სიდედრი ჩამოვა, ჯერს ჩამოიტანს და ის
 წაგეყვანს სასლში—უთხრა ენაში მომუშავე გმირმა.

გაწუწული ბიჭი ცოტა რო გონს მოვიდა, მინდორს
 სვეთ გაჰხედა და დანახა, რომ ერთი რაღაც უშველე-
 ბელი გორა დამრულა და მოდის. ბიჭი გაშტერდა, თვა-
 ლი ვეღარ მოაშორა მოძრავ გორას.

— რას იუორები ბიჭუნავ? ეგ შენი სიდედრია, ჯერი
 მოაქვს—უთხრა მუშამ.

სიდედრი მოდოდდა. ერთი ქვევრის ოდენა ქოთნით
 შეჭამადი მოუტანა ქმარს და წისქვილის ქვის ოდენა სა-
 მი სმიადი.

— დედაკაცო! აი ჩვენი სიძე—უთხრა ქმარმა და ბიჭ-
 ზე მიუთითა—ნახე როგორი კოხტა, ჰაწია ქმარი უშო-
 ვია ჩვენს ქალს.

— უი გენაცვალებო, რას მეუბნები? ეს რა ვნახე თქვე-
 ნი ჭირიმეთ? ეს არი ჩვენი სიძე?!. უი უწინამც დღე და-
 ლეოდა, ხედამთ ქა იმ დასამიწებელს, რომ ასე თავი მოკვ-
 ჳრა! ჩამოიწვევლა სიდედრი.—

ბოლოს, რა გაეწეობოდა, მანც შეიფერეს თავის ჰუმ-
 ზულა სიძე და სიდედრმა შინ წაიუვანა. დედაკაცს ვი-
 დაც კაცი ელოდა სახლში. ამ კაცს ბიჭის ნახვა ძლი-
 ერბაც არ ეჭაშნიკა... თურმე ეს უნდა ყოფილიყო ამ ოჯახ-
 ხის სიძე და გამოჯავრებულმა საშინლათ მასხარათ აიგდო
 და დედაკაცს ჰკითხა:

— ეს ვინთაგა სადღა ცინოვია? ე ჩუჩხელასაგებ
 სად ამოგანგლულა?

— არ ვიცი კი როგორ გითხრა და იმ ჩვენი ჩასაქვაგე-
 ბელი თინას ქმარია—ჩვენი სიძეა—უთხრა დედაკაცმა...

ამდენი თავის დამცირება, დაცინვა და მასხარათ აგდე-
 ბა ბიჭმა ვეღარ აიტანა, მივარდა სახლის დედა ბომს და
 სახლის ჭერი სიდედრსა და მის სტუმარს თავსე დასცა
 და თითონ გაიქცა.

დედაკაცმა ხელები საჩქაროთ შეაშველა ჭერს და შეი-
 კაზა.—

ბიჭმა კარგა მანძილი რო გაიბრინა, მოიხედა და
 ნახა რო ის კაცი ვაცხარებული მოსდევს. რა ექნა, რო-
 გორ უშველოს თავს? მიიხედ-მოიხედა, დანახა რო იქვე
 ხნულში ერთი დეკ-გმირი იღვა და ცერცვსა თესავდა—
 ერთ მუჭას რო ხნულში გაჭყანტავდა, მეორე მუჭა ცერცვს
 ზირში შეიფრიდა, ახრამუნებდა, ბიჭმა მიიბრინა და ამ
 დეკ-გმირს შეეხვეწა:

— ღვთის გულისთვის გადამარჩინე, აგერ კაცი მომ-
 დევს მოსაკლავათა.

— მოდი ციცუნე—უთხრა გმირმა და ცერცვით სავ-
 სე კალთა მიუშვირა.



ბიჭი ჩასტა კალთაში და ცერცვის მარცვლებში ჩაიკლა
მაღა...

IV

გათავა დევმა ცერცვის თესვა, დაიბერტვა კალთა და აკი მოაგონდა ის ბიჭი! შეწუსდა დევ-გმირი აქეთ მიიხედდა, იქით მიიხედდა, სწულში სომ არ გადავაყოლო, მაგრამ ვერსად იპოვა!

— ვაი შენ ჩემო თავო! იქნება ცერცვს ჩავაყოლე? თავისთავის თქვა გმირმა.

— აქა ვარ, აქა! — გამოიძახა დევ-გმირის ზირიდან ბიჭმა.

გაუკვირდა დევ-გმირს ე საიდან გამოიძახისო. თურმე ერთი კბილი მოტყვისილი ჭქონოდა, შეიყო ზირში თითი და ის კბილი რო გამოიჩინა, ბიჭი გამოიღო — გამოიფანა და იქვე ერთ ქვაზე დაასკუპა.

— ბიჭიკო, რა შემებრალე! მაღლობა ღმერთს გადაჩი — მიუხალერსა გმირმა.

— შენ რო ერთი მუჭა ცერცვი ზირში შეიყარე, — უნახუსა ბიჭმა — ჰაშინ მეც მარცვლებს თან შევეყვი და ცოტას გაწედა ჩამელანამდი რო კბილის სვრელში არ შევძვრალიყავ.

— მოიცა, მაგ კბილის ამბავს გიამბობ — დაიწყო დევ-გმირმა — ჩვენ საშნი ძმანი ვიყავით და საშნივე აცერ იმ მთის კალთებზე ცხვარს ვამოვებდით. ცა მოიქუშა, ატედა საშნიელი ჭექა-ქუხილი და წვიმამ კოკიპირულათ

დაუშვა. ცხვარი გორაკს მოვაფარე და ჩვენც რომ ვეღარ-
სად შევაფარეთ თავი, დავინახეთ რო მინდორსე ადამიან-
ნის ერთი თავის კენხსა ეგდო, გაგიქეცით და სამივე კენ-
ხსაში შევმეურით. იქვე შორი-ახლოს თურმე ვიღაც დედ-
გმირი ცხვარს ამოებდა და მის ფარაში მკელი შევარდნი-
ლიყო. გამოუდგა თურმე მკელს, ჯერ კომბალი ესროლა
და მერე სელთ რო აღარა ჰქონდა-რა, წამთავლო სელი
იმ კენხსას, ჩვენ რო შიგ ვისხედით, და მკელს ესროლა.
მკელს გვერდები მიალეწა, ჩემმა ორმა ძმამ იქვე თქვენი
ჭირი წაიღო და მე ასე ადვილათ გადავრჩი — მხოლოთ
ეს ერთი კბილი მომტყდა. —

ბიჭი, ამ დედ-გმირების მნახველი და მათი ამბების
გამკონე, შიშისა და სირცხვილისაგან ცხრა მთას იქით
გადავარდა-გადაიკარგა.

ილ. ალხაზიშვილი.

რქა-მოტეხილი ხარი.

ი ვ ა ვ ი

სარმა შემთხვევით რქა მოიტეხა. ჰატრონს ეს ძლიერ
ეწეინა და გაჯავრებულმა თქვა: „ურქო ხარი რა-
ღათ ვარგა, ან რაშია გამოსაუენებელი; მეტი ღონე არ
არის, უნდა დავკლა, სორცს მაინც გავუიდიო“.

ამის გამკონე სარმა გამწარებით უპასუხა ჰატრონს:
— შენს სელში ვარ, გინდა დამკლავ, გინდა დამარჩენ; მხო-
ლოთ ამას გთხოვ გასსოვდეს, რომ მთელს ჩემს სიცო-
ცხლეში უღელი ერთხელ რქით არ გამიწევიან, ჩემი სამ-
სახური მუდამ კისრით და მუხლით მისრულებიაო“.

აღ. მ — შვილი.



საქართველო
საქართველო

მეფე და მათხოვარი.

(ფრანგულიდან)



დიდი ხანია მას აქეთ რბაც ერთ ქვეყანაში მეტათ ღვთის-მოსაზი და მოწუხალე მეფე ცსოვრებდა. მან შვენიერი ეკლესიის აშენება განიზრახა და რომ გამოეჩინა თავისი სასოება, აუკრძალა სხვებს ამ საქმისათვის რაიმე შემოეწირათ.

როდესაც შენობა მსათ იყო, მეფემ კარებსე დააწერინა: „ამა და ამ მეფის საკუთარი სარჯით და სხვის დაუხმარებლათ არის ეს ეკლესია აშენებულიო“.

მეორე დღეს მეფე ძალიან გაოცდა, რადგანაც უწინდელ წარწერის მაგიერ ახალი წარწერა დაინახა: „ამა და ამ მეფემ ეს ეკლესია საწუხალ მათხოვარს დახმარებით ააშენაო“.

მეფემ იფიქრა, სწორეთ ღვთის განგებითა შეცვლილი ეს წარწერა და ბძანება გასცა ის საწუხალი მათხოვარი ეპოვათ.

ეს მათხოვარი ერთი მოხუცებული ქალი გამოდგა,

რომელიც ტყეში ფიჭვს ჰბოჭავდა და იმის ფულით თავს ირჩენდა.

მეფემ დაიბარა მათხოვარი და ჰკითხა: „სომ იცოდი, რომ ამ ეკლესიის ასაშენებლათ შეწირულება აკრძალული იყო; შენ გაქვს რამე შეწირული თუ არაო“.

„ბატონო, მიუგო ბებერმა, — ერთი საწუალი ქალი ვარ, ღარბი, სშირათ, მშიერს მიღამდება და მითენდება, ერთხელ რაღაც ორიოდ ფარა ვიგდე ხელში და მინდოდა ეკლესიის ასაშენებლათ შემიწირა, მაგრამ ვიცოდი აკრძალული იყო. ამიტომაც ამ ფულით თივა ვიუიდე და იმ გზასე დავეარე, სადაც თქვენ ხარებს უნდა გამოეგლოთ, რომელთაც მასალას აზიდვინებდენ. ხარებმა თივა შეჭამეს, აი ამის მეტი არაფერი არ შემიწირავს“.

მეფე მიხვდა რას ასწავლიდა მას ზეცა: საწუალ ბებრის მცირე შეწირულება ღვთისათვის იმნაირივე ძვირფასი იყო, როგორც მეფის აუარებელი ხარჯი.

მეფემ ბძანა, რომ ეს ქალი სიკვდილამდე სასახლეში შეენახათ და რომ გარდაცვალბ მოსუცეებული შიგ ეკლესიაში დაამარხინა.

მ ე ს ხ ვ ა რ ე

(ლევენა)

ლუსსიანი ზამთარი გადიოდა, მარტი მიწურული იყო. მეცხვარემ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ შხამიან ზამთარმა მას ერთი ცხვარიც არ წაართვა და ჯინსე უთ-



ზრს: „ერთი ცხვრის გუდაც ვერ დამაკელიო“. გუდას
 სულმა სამთარმა აწრილიდან სამი დღე ისესხა, დიდ მა-
 ლი თოვლი ჩამოყარა, არე-მარე სულ დაფარა და მეცხვარე-
 რეს კარები აუქოლა. საწვალე მეცხვარე ძალიან გლახს
 გუნებაზე დადგა: კარებს ვერ გააღებდა და რომ გაეღო
 კიდევც, ფოთოლი არა ჩნდა, თოვლს მოჭეოლოდა.

იფიქრა მეცხვარემ: — ჩემმა ტრახახობამ შევე მასარა-
 ლაო.

თოვლი კი კარებამდის შემომახოდა:

„მორის მთიდან რომ ვიუურებოდი,

რათ არ გეგონა გესტუმრებოდი!

მეცხვარე დარდობდა, მაგრამ საქმეს მაგითი ვერ უშვე-
 ლიდა. შემდეგ ხერხს მიძართა: დიდი გუდა გაბერა, შიგ
 კატა ჩააგდო, ძაღლა ჩამოჭკიდა, შედ ცხვრების თავზე.
 კატამ საშინელი კნაული მორთო და გუდაში ფსაკუნე
 გაჭკონდა. ცხვრები შიშის წარმა შეინაო და გაფაციფე-
 ბით გუდას შეაშტერდენ. შიშმა მათ დაავიწვა ამოცოხნა
 და სამი დღის განმავლობაში არაფერი შიშშილი არ უგრ-
 ძენათ.

მეოთხე დღეს გამოიღარა და მზემ თავისი მაცოცხლე-
 ბელი სხივები არე-მარეს მოჭფინა. მეცხვარემ ღმერთს მა-
 ლლობა შესწირა და ცხვრები მინდორს გაახსნა. ესენი კუნ-
 ტრუმ-თამაშით მოედენ აბიბინებულ ველს.

ბ. ლოლოძე.



წ ვ რ ი ლ მ ა ნ ი

ხალხური ლექსები

(წარმოდგენილი ნინო ასათიანისგან).

ეს სასახლე ვინ ააგო,
ვინ დახურა მუხის გული,
ამშენებლის დედა ცხონდა,
დამხურავის მამისული.

მალლით წამოვა ღრუბელი,
თაე-დაღმა დაეკიდება,
ცრუ კაცი, ამპარტაენი,
სილაღეს მოეკიდება:
დედას ცემს, მამას აგინებს,
ცოლის ავით მოეკიდება.

გლეხის ბიჭი ვარ ობოლი
გამოეყე ქარავანსაო,
მეჭირა ხელში სადგისი
ვასხადი ქალამანსაო.

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისგან).

ზემოამერები მოსულან მეჯუდას გაღონ ხიდები,
პური და ლენო მონახე ტყუილათ გაგდის ცინგლები.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

ერთი რამ ჰტყელი ფურცელი გადაგეფენა თაზედა,
 ხშირათ ასხია მარცვალი, არ დაითვლების მაზედა,
 არც არის ბარათ ნათესი, არცა ასხია შთაზედა;
 სციევა და მოდის ქვევითკენ არ იპოვების მაზედა.

ორი მეფენი იბრძვიან, ორნივე დიდათ ქებულნი,
 იბრძვიან, ერთმანეთსა ჰკელენ, ომი აქეთ გაჩქარებული;
 ეინც თაეის ჯარსა გააცლის გამარჯვებული ის არი.
 აბა, თუ კარგი კაცი ხარ გამოიცანი რა არი?

(წარმოდგენილი ილია მასხარაშვილისაგან).

ერთი სტუმარი გეწვია მის ღღეში უსტუმრებელი,
 უცხო საქმელი მივართვი სუფრაზე დაუდებელი.

(თოფ. კანდელაკისაგან)

წავა ნადირს მოჰკლავს უზრუნველი მგელი,
 შინ მოიტანს, არა სჭამს, ეს არს საკვირველი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი სოლოლაშვილისაგან)

პური და გული სტუმარსა, წავა შინ, მოაგონდება.

დათეო მსხალი გიმწიფსო, — კიდევ გიჭირსო.

უღს რომ კარგი დაეუძახო, აეს სახელათ რა ეუწოდო.

აგი ნუ ხარ, ავისა ნუ გეშინია.

სამატემატიკო გამოცანა

(წარმოდგენილი თოფ. კანდელაკისაგან).

6	28	1
7	6	9
2	7	5

ამ ცხრა უჯრაში უნდა ჩასვთ 1, 2,
 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 ისე, რომ ოთხივე მხრი-
 დან სამ-სამი უჯრის ნიშნების რიცხვი შეად-
 გენდეს თხუთმეტ თხუთმეტს.

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი ზისგანვე)

აბა მოთვალე რაც რომ იცოდე,
 ყველა ველური სხელი ფრინველი
 და მათში მოკლეთ რომელიც იქმის,
 იგი იქნება სიტყვა პირველი.

რასაც ბარ-ნიჩბით გზას გაუკვეთენ,
 რომ გაატარონ მინდორი-ველი,—
 ის მეორეა,— იმითი ხარობს
 ნერგი, ყანები, თესლი ყოველი.

ძალღს რომ მიუტევთ პირუტყვს ან კაცზე—
 მესამე იმ ხმის არის მსახველი;
 ამას კი მიხვდი, არც არის ძნელი,
 აბა მთელ სიტყვის ვინ არის მთქმელი?

მთელიც იგია, დღით რომ მოეცვა
 მთელ არე მარეს ყომრალი ფერი:
 თითქო დაღამდა, ბნელში მოექცა
 ჩვენ შორიანლოს ყოველისფერი...

რ ე ბ უ ს ი

სულელს
 რა აქვია?



№ I გამოცანების ახსნა:

- 1) თვალეობი, 2) ნავი ან ორთქლით-მატარებელი, 3) ჩინრიბი,
- 4) ელვა, ქუხილი და მები.

შარადა: საცერი.

რებუსი: ხათაბალა წელი იყავ, გულში გებუდა გველიო,
 ათასჯერ გაჰკარ თავმდაბალს ცულო, ლოდი და ცელია.

№ I გამოცანები და რებუსები ახსნეს და საჩუქრათ
 აკაკის სურათი მიიღეს შემდეგ პირთ:

თბილისში, სათად-აზნაურო სკოლის მოწაფეთ: ნიკო კიკნავე-
 ლიძემ, ილია ხირსელაშვილმა, მესხიშვილმა და მათე ლოლაძემ.

ქალაქ გარეთ: ყვირილაში — მოწაფე ბაბაღე მოდებაძემ, ნარიმან
 გვალიამ ზე სამრეველო სკოლის მოწაფემ ილიკო მონჯავიძემ, ს. კახ-
 ში: ბესარიონ ოქროპირიძემ. ს. სალოლაშენში: კნიაჟნა ნინო ამირე-
 ჯიბისამ.

აქ მოყვანილ პირთ ვთხოვეთ მოიკითხონ საჩუქარი თვით „ჯე-
 ჯილის“ რედაქციაში.

№ II გამოცანების ახსნა:

1) ბროწეული, 2) კვერი, 3) წინდის ჩხირები, 4) სეტყვა.
 სამათემატიკო გამოცანა: 90 ბატკანი, 9 ძროხა, 1 მო-
 ზერი.

ანაგრამმა: ტელეფონი, ფელეტონი.

შარადა: ჰაეროსტატი.

რებუსი: 1) მგლის თავზე სახარებას კითხულობდენ და ის
 მინც ტყეში იყურებოდანო, 2) ბავში ცელქია.

შემდეგ პირთ ახსნეს გამოცანები: დ. ყვირილაში ტრიფონ ბა-
 აკაშვილმა, ს. წიფაში ელისო ბარბაქაძემ, ქ. ფოთში გიგუშა კო-
 ტიამ, ქ. ქუთაისში ალექსანდრე ლოლობერიძემ.

„ჭეჭილი“

წალიწალი მეზვიღე

გამოვა 1896 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება ალგეითქვეს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჭეჭილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მანტფილისის გარეშე გაგზავნით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში“ (д. зем. банка № 32) და თვით „ჭეჭილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возле кадетского корпуса).

2) ქუთაისში—მ. ბეჟანეიშვილთან, და თ. მთაწარიშვილთან.

3) გორში—ა. კალანდაძესთან.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში და გერ. კალანდაძესთან.

5) თელავში—მ. სისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერაში—შარამან ჩხვიძესთან.

7) თიონეთში—ი. ჩიბალაიშვილთან.

8) შვირილაში—არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

9) მიხაილოვში—ი. ფანცულაიასთან.

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, во редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джѣдჯილა“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. აჟმანიშვილი-წერეთლის